საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 26 თებერვალი. 2019 წ. №40 (8706) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ფინანსური დუელი

გადაიქცა თუ არა თიბისი ბანკი ჯიბისი ბანკად

③



⑤ მჯერა, მომავალ თბილისობას შევხვდებით დავით აღმაშენებელთან ერთად!

საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს შეხვდა და ბოლო პერიოდში ევროპის ქვეყნებში განხორციელებული ვიზიტების შედეგები განიხილა.

აღინიშნა ქართულ დიასპორასა და ქართველ სტუდენტებთან შეხვედრების მნიშვნელობა, ევროპელი პარტნიორების მიერ საქართველოს მიმართ გამოხატული მაღალი ნდობა და ამ ნდობის ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის გამოყენების საჭიროება. ხაზი გაესვა ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერების მიმართულების გაძლიერებისა და განვითარების მნიშვნელობას. შეხვედრას პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა ჟვანია და საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე მიტროპოლიტი შიო ესწრებოდნენ.

ბასილაშვილმა ხაჩანოვს სძლია!

გუშინ დაიწყო საერთაშორისო პრესტიჟული საჩოგბურთო მასტერსი, რომელშიც ნიკოლოზ ბასილაშვილმა პირველსავე წრეში გაგვახარა, მან დამაჯერებლად დაამარცხა მსოფლიოს მეთერთმეტე ჩოგანი რუსეთელი სომეხი კარენ ხაჩანოვი (6:4, 6:1).

პედოფილია საუდამო პატიმრობით დასჯება

არასრულწლოვნის გაუპატიურების შემთხვევაში შესაძლოა, უვადო პატიმრობა დაწესდეს. განცხადება ამ თემაზე გუშინ შს მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა გააკეთა:

„ე.წ. პედოფილიაზე კანონის გამკაცრებას ითვალისწინებს ის კანონპროექტი, რომელიც მთავრობაზე წარვადგინეთ. განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩადენის ნაწილში გავამკაცრეთ სანქციები. მაგალითად, არასრულწლოვნის გაუპატიურების შემთხვევაში, უვადო თავისუფლების შეზღუდვაც იქნება გათვალისწინებული, რაც აქამდე ასე არ იყო“, — თქვა მეზვრიშვილმა.

ქართული ეკონომიკის სიმტკიცეს განაპირობებს ჩვენი ეკონომიკის დივერსიფიკაცია, სწორი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა

„ეს არის უზარმაზარი წარმატება და მეტიც — დღევანდელი მონაცემებით ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა ფართო რეგიონში, რომელიც Fitch-ის რეიტინგში დაწინაურდა“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა Fitch-ის საკრედიტო რეიტინგში საქართველოს პოზიციის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

„ეს ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკაში უკვე გვაქვს ნაკლები რისკები, რაც აისახება იმაზე, რომ საპროცენტო განაკვეთები კრედიტებზე კიდევ უფრო შემცირდება. ეს არის ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ახორციელებს სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას.

რეიტინგში წინსვლა კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტების და ზოგადად ინვესტორების ნდობას, პოზიტიურად აისახება ქვეყნის ბიზნესგარემოზე და რაც ყველაზე მთავარია, პირდაპირ გავლენას იქონიებს ჩვენი ქვეყნის მთავარი გამოწვევის — სიღარიბის დაძლევაზე.

რა არგუმენტები არსებობდა იმისთვის, რომ Fitch-მა მიიღო ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება?! ჩვენ შევძელით და შევამცირეთ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. ჩვენი ეკონომიკის ისტორიული პრობლემაა ის, რომ საქართველო გახდა იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა. ჩვენ შევძელით და ეს ძალიან მძიმე მოცემულობა შევცვალეთ, რაც ნიშნავს იმას, რომ მყარად და სწორად ვდგავართ იმ გზაზე, რომელიც დაგვეხმარება, ეს დეფიციტი კიდევ უფრო შევამციროთ. სწორედ ეს დეფიციტი გახლავთ საქართველოში სიღარიბის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო.

ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი, რატომაც Fitch-მა ეს გადაწყვეტილება მიიღო, გახლავთ ის, რომ შარშან, წლის მეორე ნახევარში, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონმა გადაიტანა ძალიან მძიმე ეკონომიკური პერიოდი, ჩვენ მოვახერხეთ და საქართველოს ეკონომიკა გავხადეთ უფრო მდგრადი და მეტეგი გარე შოკების მიმართ. ეს განპირობებულია ჩვენ მიერ გატარებული სწორი პოლიტიკით და აქ პირველ რიგში უნდა აღვნიშნო ლარიზაციის სტრატეგია. რეიტინგის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მიმზიდველი ბიზნესგარემო და სახელმწიფოს სწორი მიდგომები. ასევე ის, რომ საქართველო მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში მე-6 ადგილზეა და ჩვენ მოწინავე რეფორმატორი ქვეყანა ვართ. ჩვენი ეკონომიკის სიმტკიცეს განაპირობებს ჩვენი ეკონომიკის დივერსიფიკაცია, სწორი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, რასაც ზურგს უმაგრებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის ზედმიწევნით შესრულება.

70-წლიანმა ოკუპაციამ ვერ გატეხა ქართველი ხალხის სული!

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საბჭოთა ოკუპაციის დღეს გამოეხმაურა და ფეისბუქით განცხადება გაავრცელა:

„25 თებერვალს საბჭოთა ოკუპაციის დღეს აღვნიშნავთ და ვიხსენებთ მათ ვინც 1921 წელს საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის შედეგად დახოცეს და გადაასახლეს. ასევე, ვიხსენებთ კომუნისტური საოკუპაციო რეჟიმის პოლიტიკური რეპრესიების ასობით ათას მსხვერპლს.

70-წლიანმა ოკუპაციამ ვერ გატეხა ქართველი ხალხის სული და ქვეყანამ დაიბრუნა დამოუკიდებლობა. ამერიკის შეერთებული შტატები ამაყობს, რომ საქართველოს პარტნიორია და განაგრძობს სუვერენული და თავისუფალი ქვეყნის გვერდით დგომას“.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ დასრულებულა, ის დღესაც გრძელდება!

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 1921 წლის თებერვალში კოჯრისა და ტაბახმელას მიდამოებთან რუსეთის წითელ არმიასთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაღუპული იუნკერების მემორიალი გვირგვინით შეამკო და იუნკერების ხსოვნას პატივი მიაგო.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, ქართველი მებრძოლებისა და იუნკერების თავდადებით გადარჩა საქართველო და ჩვენ დღემდე მოვიტანეთ ეს დამოუკიდებლობა.

„აქ, ამ ადგილზე, თბილისის გადარჩენისთვის დაიღუპა იუნკერების დიდი ნაწილი. ეს დღე საქართველოსათვის ძალიან მძიმე დღეა, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ დასრულებულა, ის დღესაც გრძელდება. ქართველი მებრძოლებისა და იუნკერების თავდადებით გადარჩა საქართველო და ჩვენ დღემდე მოვიტანეთ ეს დამოუკიდებლობა. ამისთვის ჩვენ არა მხოლოდ მადლიერი უნდა ვიყოთ, არამედ ყოველდღე უნდა ვიხსენებდეთ მათ.

ვწუხვარ იმის გამო, რომ აქ ტაბახმელა-კოჯრის მიდამოებში იუნკერთა მემორიალის გარდა, არ არის ამ უდიდესი ისტორიული მოვლენის ამსახველი არანაირი კვალი.

აქ ახალგაზრდები და უცხოელები თუ ამოვლენ, უნდა შეეძლოთ იმის გაგება, რა ბრძოლები ჩატარდა, რა დატვირთვის იყო და რატომაა ეს ბრძოლა ჩვენი ქვეყნისათვის ასეთი მნიშვნელოვანი“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

საქართველოს პარლამენტის 2010 წლის 21 ივლისის დადგენილებით, ყოველი წლის 25 თებერვალი საბჭოთა ოკუპაციის დღედაა გამოცხადებული.

ჩვენივე ისტორია გვაძლევს მაგალითს, რომ თავისუფლება ყოველთვის ამარცხებს ოკუპაციას

დიახ, ჩვენივე ისტორია გვაძლევს მაგალითს, რომ თავისუფლება ყოველთვის ამარცხებს ოკუპაციას და ეს ასე მოხდება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ იუნკერთა მემორიალთან განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა 1921 წელს გმირულად დაღუპული იუნკრების მემორიალი პრეზიდენტთან, მთავრობისა და პარლამენტის წევრებთან ერთად გვირგვინით შეამკო.

„დღეს არის უმძიმესი დღე საქართველოს ისტორიაში — საბჭოთა ოკუპაციის დღე. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ეს არის ბრძოლა თავისუფლებისთვის. დღესაც ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილი არის ოკუპირებული. მე ქედს ვიხრი ყველა ქართველი გმირის წინაშე, რომელმაც თავი შესწირა სამშობლოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ახალი ინიციატივა

თბილისის საკრებულოს სახელდების და სიმბოლიკის კომისიამ საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, რომელშიც ახალი ინიციატივა გაახმიანა. როგორც კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, სახელდების და სიმბოლიკის კომისია მუდმივად მუშაობს იმ გმირების სახელების უკვდავსაყოფად, რომლებმაც დღემდე მოიტანეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

„იანვარში, ტაბახმელაში იუნკერ არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე ქუჩას მიენიჭა ასევე იუნკერის, შტაბის კაპიტნის ბესარიონ კემულარიას სახელი. 1921 წელს საოკუპაციო არმია კოჯრის მიდამოების გარდა გვებრძოდა სამგორში, გლდანში, ავჭალაში. გამოვდივართ ინიციატივით, ავჭალის რკინიგზის სადგურს დაერქვას საქართველოს ეროვნული გმირის, ჯავშანმატარებელთა რაზმის ხელმძღვანელის ვლადიმერ გოგუაძის სახელი. ვლადიმერ გოგუაძის ხელმძღვანელობით, ქართულმა მხარემ შეძლო რუსული არმიის ავჭალიდან განდევნა და ავჭალის რკინიგზის სადგურის დაკავება,“ — განაცხადა თინათინ ნიბლოშვილმა.

მისივე ინფორმაციით, საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საკითხის განხილვის მიზნით, უახლოეს პერიოდში დაიწყებს კონსულტაციებს საქართველოს რკინიგზასთან.



საპარლამენტო უმრავლესობა, შესაძლოა, მირიან წიკლაურმაც დატოვოს

საპარლამენტო უმრავლესობა შესაძლოა, მმართველი გუნდის კიდევ ერთმა წევრმა მირიან წიკლაურმა დატოვოს. მიზეზად დეპუტატი არსებულ ვითარებას ასახელებს და ამბობს, რომ უმრავლესობის რიგებს დატოვებს, თუ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით პოზიციების დაახლოება არ მოხდება.

„ზოგიერთი ტოვებს ამ გუნდის რიგებს, ზოგიერთი რჩება... არის თითქოს დარჩენილებს შორისაც რაღაც გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა. მეც დავფიქრდები, ცხადია. ჯერჯერობით მე ვხედავ რესურსს, თუმცა ვნახოთ, შევხედავთ, რამდენად ემთხვევა ჩემი აზრები დანარჩენი გუნდის წევრების აზრებს. რამდენად არის შესაძლებელი ჩვენი ერთად მუშაობის გაგრძელება და იმის მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას. გამორიცხვა არაფრის არ შეიძლება, თუმცა კონსულტაციები გრძელდება“, — განაცხადა მირიან წიკლაურმა.

ეკა ბესელია პარლამენტში ფრაქციას ქმნის

ეკა ბესელია პარლამენტში ფრაქციას შექმნის — ამის შესახებ განცხადება „ქართული ოცნების“ ყოფილმა წევრმა გააკეთა. მისი თქმით, პოტენციურ მოკავშირეებთან კონსულტაციებს დღეიდან იწყებს.

„მე დავიწყებ კონსულტაციებს ყველა იმ ადამიანთან, ვინც შეიძლება იყოს მოაზრებული ამ ახალი პოლიტიკური პლატფორმის ქვეშ. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც თემატურად გაერთიანდება პირველ ეტაპზე და ეს თემა პირდაპირ უკავშირდება მართლმსაჯულების რეფორმას და სამართლიანობის პროცესს. თემატურად შეგვიძლია ვითანამშრომლოთ მათ შორის „სოციალ-დემოკრატებთანაც“, თემატურად. მე ვიცი, რომ ისინიც ფიქრობენ ამაზე, არ გამოვრიცხავ, რომ მალე მოხდეს ეს“, — ამბობს ეკა ბესელია. ახალი ფრაქციის ჩამოსაყალიბებლად მინიმუმ 6 წევრია საჭირო.

დავით ჭიჭინაძემ „პატრიოტთა ალიანსი“ დატოვა

დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“ დატოვა და განცხადებით პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს უკვე მიმართა.

დავით ჭიჭინაძის გადაწყვეტილების შემდეგ, „პატრიოტთა ალიანსის“ ფრაქცია დაშლის საფრთხის წინაშე დადგება, რადგან რეგლამენტის გათვალისწინებით, ფრაქციის არსებობისთვის ექვსი კვოტაა საჭირო, ირმა ინაშვილის საპარლამენტო გუნდს კი ხუთი დეპუტატი ჰყავს.

„საქართველოს პატრიოტები“ საშემოდგომო სესიაზე პროტესტის ნიშნად ნატო ჩხეიძემ დატოვა, რომელიც ფრაქციაში დავით ჭიჭინაძემ ჩაანაცვლა.

გია ჟორჟოლიანი საპარლამენტო უმრავლესობის დატოვებას აანონსებს

„ქართული ოცნების“ დეპუტატი გია ჟორჟოლიანი საპარლამენტო უმრავლესობას დატოვებს. განცხადება ჟორჟოლიანმა გუშინ გააკეთა.



დეპუტატის თქმით, მისი გადაწყვეტილების შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა უკვე იცის. ჟორჟოლიანის განცხადებით, ის ივანიშვილს შეხვდა. განხილვის მთავარი თემა კი მმართველ გუნდში არსებული პრობლემები იყო.

გია ჟორჟოლიანი მეხუთეა, ვინც საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა. მმართველი გუნდი უკვე დატოვეს — ეკა ბესელიამ, ლევან გოგიჩაიშვილმა, ბექა ნაცვლიშვილმა და გედევან ფოფხაძემ.

სოციოლოგი ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარისგან მეტ სიცხადეს ითხოვს, როდესაც იგი აცხადებს, რომ იძულებით თმობს და მიდის საკუთარი ბანკიდან, გორგილაძის თქმით, საჭიროა მეტი განმარტება და სიცხადის შეტანა, რადგან აღქმის თვალსაზრისით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხაზარაძე ვიღაცის სასარგებლოდ თმობს თავის ბანკს და ის ვიღაცა, ვის სასარგებლოდაც ამ ბანკს თმობს, ახდენს მასზე ზეგავლენას.

ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲗᲘᲑᲘᲡᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲯᲘᲑᲘᲡᲘ ᲑᲐᲜᲙᲐᲓ,

ᲐᲜᲣ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲦᲕᲘᲥᲕᲐᲛᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲘᲛᲔᲓ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘᲐ!

— ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ განცხადებაშიც ამბობს, რომ „თიბისი ბანკიდან“ მისი წასვლა იძულებით გადადგმული ნაბიჯია, თუმცა არ აკონკრეტებს, ვინ არის ამ იძულებითი ნაბიჯის ავტორი. როგორ ფიქრობთ, ხაზარაძის გადაწყვეტილება არის პოლიტიკის დიდი ნაწილი, რომლის მიზანია ანაკლიის პორტის, როგორც სტრატეგიული ობიექტის დათმობა? თავის დროზეც ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ეს თემა გახდა ბიძინა ივანიშვილის და გიორგი კვირიკაშვილის დაპირისპირების მიზეზი — ივანიშვილი ეწინააღმდეგებოდა ხაზარაძისთვის ანაკლიის პორტის გადაცემას...

— ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ: კონფლიქტის წარმომავლობა განვიხილოთ თავიდან, ანუ ამ კონფლიქტის გენეზისი და ხაზარაძის დღევანდელი განცხადება. ჩემთვის გაუგებარია, როდესაც ხაზარაძე ამბობს, რომ ის თმობს და მიდის საკუთარი ბანკიდან. აქ არის საჭირო განმარტება და სიცხადის შეტანა. აღქმის თვალსაზრისით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი ვიღაცის სასარგებლოდ თმობს ამ თავის ბანკს და ის ვიღაცა, ვის სასარგებლოდაც ამ ბანკს თმობს ხაზარაძე, ახდენს მასზე ზეწოლას. ამდენად, მნიშვნელოვანია მოხდეს ძალიან მკაფიო ფორმულირება — რას ნიშნავს მე ვთმობ? მიდის ბანკიდან; ბანკს ყიდის; თავის აქციებს ყიდის; დაუთმო ვიღაცას და იმ ვიღაცამ ფული არ გადაუხადა; თუ უბრალოდ ტოვებს სამეთვალყურეო საბჭოს და რჩება ბანკის აქციონერად? ხომ არ ტოვებს სამეთვალყურეო საბჭოს უცხოელი პარტნიორების ზეწოლის შედეგად? — აქ არის სიცხადე შესატანი, რათა სპეკულაციები არ არსებობდეს ამასთან დაკავშირებით.

— გამორიცხავთ, რომ ხაზარაძის გადაწყვეტილება პირდაპირ კავშირში იყოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებასთან? გამოქვეყნდა მისი ჩვენებაც, სადაც ადასტურებს თანხების გადარიცხვას...

— რაც შეეხება თვითონ მიმდინარე გამოძიებას, აქაც სიცხადე არის შესატანი. ხელისუფლების მხრიდან უნდა მივიღოთ განმარტებები, რასთან გვაქვს საქმე? რატომ გაახსენდათ ფულის გათეთრების საქმე დღეს? გასაგებია, რომ შეიძლება ინფორმაცია არსებობდეს წინა წლების შესახებ, შენ ამ ინფორმაციას ამოწმებ და მხოლოდ ამის შემდეგ იღებ გადაწყვეტილებას, მაგრამ რომ არ ვიმკითხაოთ, ხელისუფლებამ და გამოძიებამ აქ სიცხადე უნდა შეიტანოს, რომ ვიცოდეთ, ანაკლიის პორტის მშენებლობის გამო მოხდა, თუ რის გამო.

საერთოდ, მე ვფიქრობ, ბევრი პრობლემა ჩნდება იმის გამო, რომ არ არის სიცხადე, არ არის განმარტება არც ერთი და არც მეორე მხრიდან. თუ ხაზარაძე 1 და 2 წელი განიცდიდა ზეწოლას, მაშინ რატომ უჭერდა მხარს სამთავრობო კანდიდატს საპრეზიდენტო არჩევნებზე?

28 ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ გავრცელებულ განცხადებაში წერს, რომ ქვეყანა რევანშიზმის საფრთხის წინაშე დგას, რომელსაც შეუძლია საქართველოს განვითარება რამდენიმე წლით შეაფერხოს და გამოიწვიოს ქაოსი...

— ამის ფონზე, არანაკლებ ხმაურიანია პოლიტიკური დაპირისპირება, რაც „ქართული ოცნების“ შიგნით ვითარდება. ბესელია—ფოფხაძის კანონპროექტი ჩავარდა, უმრავლესობა მის ანტიკონსტიტუციურობაზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, პროცესი დასრულდება „ქართული ოცნების“ დაშლით?

— დაშლა გარდაუვალი იყო, როგორც ნებისმიერი ერთობა, რომელიც იქმნება გარკვეული ამოცანის და არა ღირებულებების და იდეოლოგიის ირგვლივ. სანამ სხვადასხვა ინტერესთან ჯგუფების საერთო ინტერესი კმაყოფილდებოდა, იყვნენ ერთად, მაგრამ, როგორც კი გზები გაიყო, დაიწყო დაპირისპირება.

ძალიან ხშირად აქ არის პოლიტიკური ამბიციის მომენტი, ესეც უნდა ვთქვათ. გარკვეული პოლიტიკური სუბიექტების ინტერესების დაკმაყოფილება, ან დაუკმაყოფილება თავისი პოლიტიკური სტატუსით, თავისი გავლენით ხშირად განაპირობებს პროცესებს ამ დიდი კონგლომერატის შიგნით, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია და, ბუნებრივია, რომ, ადრე თუ გვიან, ეს პროცესი დაიწყებოდა. პრინციპში დაწყებულიც იყო 2013 წლიდან, როდესაც ახლა, რომ ძველ გვარდიას ეძახიან, ნელ-ნელა ახდენდა „ოცნებისგან“ დისტანცირებას. ამ თვალსაზრისით, დაშლის პროცესი დიდი ხანია დაწყებულია.

—ამ ჯგუფების გამოყოფა რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკური პროცესისთვის?

— ჩემი აზრით, ეს სასარგებლოა საერთო პოლიტიკური პროცესისთვის. ანალოგიები „მოქალაქეთა კავშირთან“ და ჟვანიას ჯგუფთან არ არის კორექტული, ვინაიდან ჟვანია მკაფიოდ გამოკვეთილი ლიდერი იყო. რაც მთავარია, ჟვანიას გააჩნდა ლიდერის ლეგიტიმაცია, მაგრამ არა მოსახლეობის მხრიდან, არამედ თავად პოლიტიკოსების მხრიდან. ის პოლიტიკაში, პოლიტიკოსებს შორის ბევრად უფრო ლეგიტიმური ლიდერი იყო, ვიდრე მოსახლეობის შეფასებებში. ამიტომ, მას სოციოლოგიური რეიტინგი ყოველთვის დაბალი ჰქონდა. პოლიტიკოსებში მისი შიდა რეიტინგი ბევრად უფრო აღემატებოდა მის საზოგადოებრივი მხარდაჭერის ინდექსს.

— ამ ტიპის ლიდერი არის დღეს ქართულ პოლიტიკურ ველზე?

— ამ ტიპის ლიდერს, ბუნებრივია, ვერ ვხედავთ. ჟვანია ბევრი თვალსაზრისით, თავისი თვისებებით, უნიკალური ლიდერი იყო. ჩვენ ვერ ვხედავთ ლიდერსაც, რომელსაც ექნებოდა მაღალი საზოგადოებრივი ნდობა. ხელისუფლებაში მყოფი ლიდერის რეიტინგი ხშირად განპირობებული არის „ოცნების“ და მისი ლიდერის რეიტინგით. ამდენად, ვერ ვხედავ პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც თავისი თვისებების გამო შეძლებდა ოპოზიციის გაერთიანებას. მაგრამ, შესაძლოა, ჩვენ ვიხილოთ ლიდერების მთელი წყება. მახსოვს, რესპუბლიკელებს ჰქონდათ ყოველთვის პიროვნული ქარიზმის პრობლემა და ერთ-ერთი საარჩევნო კამპანიის დროს მათ გამოაგდეს ლოზუნგი კოლექტიური ქარიზმის შესახებ. თუკი გამოჩნდება რამდენიმე ლიდერი ერთად, რომელიც შეძლებს ოპოზიციის გაერთიანებას, მაშინ შეიძლება კონკურენტუნარიანი ოპოზიციის ხილვა, რომელიც გარკვეულწილად, რეიტინგში ჩაეცილება „ოცნებას“. ამ თვალსაზრისით, ოპოზიცია არის საინტერესო, მას შეუძლია შემატოს პოლიტიკურ პროცესს დინამიკურობა.

ესაუბრა
ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲑᲐ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐᲜ!

ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲛᲐ სასამართლომ ლისის ტბის ჩამორთმევის საქმეს პრეცედენტული დავის კვალიფიკაცია მიანიჭა და არსებითი განხილვისთვის დაუშვა.

ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის ადვოკატის არჩილ კაიკაციშვილის თქმით, სასამართლომ დასაშვებად ცნო ახვლედიანის ყველა მოთხოვნა, რომელიც ლისის ტბის საქმეს უკავშირდება.

კაიკაციშვილი ამბობს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება რამაზ ახვლედიანის საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვისთვის მიღებაზე 2018 წლის 27 დეკემბრით თარიღდება, მათ კი, ოფიციალური საფოსტო შეტყობინებით 2019 წლის 15 თებერვალს მიიღეს.

ადვოკატის ინფორმაციით, განჩინებაში აღნიშნულია, რომ საკასაციო სასამართლო გაეცნო გასაჩივრებულ განჩინებებს, რამაზ ახვლედიანის საკასაციო საჩივარს, შეამოწმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მოცემულ სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით და მივიდა დასკვნამდე, რომ საქმე არსებითი განხილვისთვის მიიღოს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ინფორმაციით, რამაზ ახლედიანი 2006 წლის 4 ნოემბერს იძულებული გახდა, თბილისის მაშინდელი მერიისა და მთავრობის სახელზე დაეწერა განცხადება და ეღიარებინა, რომ 1999 წლის საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობა — ნაგებობები და რომელიც ბიზნესმენს უკვე გამოსყიდული ჰქონდა. „წერილში, ნების საწინააღმდეგოდ, რამაზ ახვლედიანმა უარი განაცხადა პრეზიდენტის განკარგულებით გადაცემულ 63,5 ჰა არასოსაფოლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებაზეც და ეკონომიკის სამინისტროსგან უკვე გამოსყიდულ შენობა-ნაგებობებზეც. ამ განცხადებიდან მეექვსე დღეს, 2006 წლის 10 ნოემბერს, მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა ახალი განკარგულება და 1999 წელს რამაზ ახვლედიანის მიერ შეძენილი და 2006 წელს პრეზიდენტის განკარგულებითვე გადაცემული ქონება, ჩამოერთვა. მოგვიანებით, ჩამორთმეული ქონება რამაზ ახვლედიანის ბიზნესპარტნიორს, პირდაპირი მიყიდვის წესით, მამუკა ხაზარაძეს გადაეცა“, — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი **„თიბისი ბანკის“ საქმეზე საუბრისას მიმდინარე მოვლენებს ანაკლიის პორტის პროექტს არ უკავშირებს.**

მინისტრის თქმით, ლონდონის საფონდო ბირჟაზე „თიბისი ბანკის“ აქციები იმ ნიშნულზე მაღალია, ვიდრე დაცემამდე იქნებოდა: **„გამორიცხულია ამ ორი მოვლენის ერთმანეთთან დაკავშირება, ეს ე.წ. TBC-თან დაკავშირებული კითხვის ნიშნები, რომლებიც მოგვარდა და ეს არ იყო TBC-თან დაკავშირებული, ეს იყო რაღაც კონკრეტულ ტრანზაქციაზე კითხვები. მე მგონი მოგვარებულია, TBC-იმ ჯარიმა გადაიხადა, ეროვნული ბანკის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილდა. თქვენ რომ ნახოთ ლონდონის საფონდო ბირჟაზე რა მოხდა, ნახავთ, რომ TBC-ის აქციები არა თუ დაუბრუნდა თავდაპირველ ნიშნულს, არამედ უფრო გაიზარდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს ინსტიტუცია არის მყარი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ანაკლიასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება, ყველა არსებული თუ პოტენციური ინვესტორის იქნება მხოლოდ და მხოლოდ დაფუძნებული იმაზე, თუ რამდენად მომგებიანი და მიზანშეწონილია ეს პროექტი,“** — განაცხადა ივანე მაჭავარიანმა.

ვინ განახორციელებს საპენსიო ფონდის თანხებით ინვესტიციებს და სად ჩაიდება ჩვენი ფული?!

„ჩვენ მიერ შექმნილი სისტემა არის გარანტია იმისა, რომ საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხა კარგად იქნება ინვესტირებული და მაღალ სარგებელს მოუტანს სახელმწიფოს,“ — ასე აფასებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე **ნიკოლოზ გაგუა** საპენსიო რეფორმას რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“.

„საპენსიო რეფორმაზე, რამდენიმე წელი ვმუშაობდით. ჩემი აზრით, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გამართული სისტემა მსოფლიოში. ჩვენთან ამ სისტემის შექმნაზე საერთაშორისო დონის სპეციალისტები მუშაობდნენ. ერთი ექსპერტი გაეროს საპენსიო ფონდის ხელმძღვანელია, რეფორმის გაშვებიდან დღე და ღამე ერთად ვმუშაობდით და ერთად დავასრულეთ პროექტის დიზაინიც. საპენსიო რეფორმა წარმოადგენს მეორე კერძო დაგროვებით სვეტს, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ პიროვნება თავად აგროვებს ფულს, რათა ჰქონდეს ღირსეული და მაღალი პენსია. ამ მხრივ სახელმწიფო საკმაოდ გულუხვია, რადგან თუ ეფექტური შენატანი 1,6%-ია, სახელმწიფოს შენატანი 2,8%-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, თუ ადამიანს 1000 ლარი აქვს ხელფასი და ფონდში 16 ლარი შეაქვს, ეს თანხა მომენტალურად 60 ლარად გარდაიქმნება. ჩვენ გვაქვს შექმნილი სისტემა, რომელიც იმის გარანტიაა, რომ ეს შენატანი კარგად იქნება ინვესტირებული და მაღალ სარგებელს მოუტანს სახელმწიფოს.

დღესდღეობით მოქმედი საპენსიო სისტემა უსამართლოა. იგი საშუალო ხელფასის 20%-ზე ნაკლებია, მაშინ, როცა ევროპულ ქვეყნებში 60%-ზე მეტია. მაგრამ არც ერთ ქვეყანაში ასეთი სოციალური ტიპის შემწეობის პენსიით ვერ მიიღწევა სამჯერ მეტი პენსიის მაჩვენებელი. ამიტომ ჩვენ გვინდა მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემა, როცა არსებულს ვუმატებთ კერძო დაგროვებითს. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისთვის, რომ გაიმართოს ჩვენი სისტემა, — აცხადებს ნიკოლოზ გაგუა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, არც ერთი კვლევით არ დასტურდება, რომ საპენსიო რეფორმის ეს სისტემა ნეგატიურად იმოქმედებს ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელზე. კერძოდ, მისი თქმით: **„სახელმწიფო 2,8%-ს აბრუნებს პიროვნების ინდივიდუალურ ანგარიშზე. ეს არის ისეთივე საკუთრება, როგორც ბინა ან საბანკო ანგარიში. შინაარსობრივად ეს საგადასახადო ტვირთის შემცირებაა. ხშირად იყო საუბარი იმაზეც, არის თუ არა იგი გადასახადი. ჩვენ, მათ შორის სამართლებრივი არგუმენტებით, დავამტკიცეთ, რომ ეს არ არის გადასახადი. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ყველამ აღიქვას იგი არა გადასახადად, არამედ დანაზოგად. ეს ნამდვილად არის მომავალი კეთილდღეობის გარანტი.**

საპენსიო ფონდში დაგროვილი თანხა საინვესტიციო რესურსია. მას კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და დიდი პერსპექტივები გააჩნია. ჩვენი სისტემით, საპენსიო ფონდის თანხებით ინვესტიციები განხორციელდება გამოცდილი საინვესტიციო მენეჯერების მიერ, რომლებიც იქნებიან არსებული აქტივების მმართველებად დაქირავებულები. სახელმწიფოს ამ თანხებთან შეხება არ აქვს. ჩვენ არ ვიცით, თუ სად ჩაიდება იგი, მაგრამ ვიცით, რომ კვალიფიციური პროფესიონალები იქნებიან ამ აქტივების მმართველები, მათ ეს საქმე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში წარმატებით აქვთ განხორციელებული,“ — ამბობს ნიკოლოზ გაგუა.

კომერსანტი

„ცუდ მძღოლებს“ სავალდებულო დაზღვევა ძვირი დაუჯდებათ

ავტომობილების **სავალდებულო დაზღვევასთან დაკაშირებით ყოველდღე ახალ-ახალი ინფორმაციები ვრცელდება. ხარვეზებზე სპეციალისტები უკვე საუბრობენ. შესაძლოა, ერთი მხრივ საჭირო პროექტმა მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვიოს.**

საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელებისათვის 2019 წლის 1 ივლისიდან სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა შემოდის. **კანონპროექტი ადგენს წლიური სადაზღვევო პრემიის მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატეგორიების მიხედვით.**



ქვეყანაში ამ დროისათვის 1,2 მლნ მოქმედი ავტოსატრანსპორტო საშუალებაა. თითოეული მათგანის დაზღვევა, საშუალოდ 150 ლარი ეღირება. გამოდის, 1 წლის განმავლობაში დაახლოებით 180 მლნ ლარის მობილიზება მოხდება მხოლოდ ამ გზით. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტომფლობელებს, რომლებიც კერძო სადაზღვევო პაკეტით უკვე სარგებლობენ, მესამე პირის სავალდებულო დაზღვევის ამოქმედების შემდეგ დამატებითი სადაზღვევო შენატანის გაკეთება მაინც მოუწევთ.

იმ ავტომფლობელებისთვის, რომლებიც წლის განმავლობაში რამდენიმე ავტოსაგზაო შემთხვევას გამოიწვევენ, მესამე პირის სავალდებულო სადაზღვევო პაკეტის შეძენა გაცილებით ძვირი იქნება. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის ირაკლი თუთარაშვილის ინფორმაციით, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ მომზადებული კანონპროექტი ამოქმედებიდან 3 წლის შემდეგ ე.წ. „ბონუს-მალუს“ სისტემის შემოღებას ითვალისწინებს.

„კანონით განსაზღვრულია, რომ ქვეყანაში სამი წლის შემდეგ შესაძლებელია „ბონუს-მალუს“ სისტემის შემოღება. ეს ნიშნავს იმას, რომ, **თუ მძღოლი რამდენიმე წლის განმავლობაში არ იწვევს ავტოსაგზაო შემთხვევას და არის ე.წ. კარგი მძღოლი, მას მოუწევს ბევრად ნაკლები სადაზღვევო პრემიის გადახდა, ვიდრე იმ მძღოლს, რომელიც ხშირად ხვდება ავტოავარიაში.**

როგორც იცით, კანონპროექტით გათვალისწინებულია სადაზღვევო პაკეტის წლიური ღირებულების ქვედა და ზედა ზღვარი, რომელიც არ შეიცვლება. **„ბონუს-მალუს“ სისტემის მიხედვით კი, თუ მაგალითად, მსუბუქი ავტომობილის მძღოლისთვის სადაზღვევო პაკეტის წლიური ღირებულება 100-დან 150-ლარამდეა, კანონმორჩილმა მძღოლმა შესაძლოა, 100 ლარზე ბევრად ნაკლები გადაიხადოს, ე.წ. ცუდი მძღოლების სადაზღვევო პრემია კი 150 ლარზე ძვირი ეღირება“,** — განაცხადა თუთარაშვილმა.

დაუზღვეველი ან დაუდგენელი ავტომობილების მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება კი სპეციალურად შექმნილი ბიუროს ფონდიდან მოხდება. ბიურო ავტომობილის სავალდებულო დაზღვევის ამოქმედებამდე ჩამოყალიბდება და მასში იქნება თავმოყრილი მთელი საინფორმაციო ბაზა დაზღვეული და ზოგადად საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების შესახებ. სისტემის შემუშავების პროცესში არ იყვნენ ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები და სფეროს სპეციალისტები. ფონდის „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ დირექტორი ირაკლი იზორია „რეზონანსთან“ თავად სისტემის ამოქმედებას დადებითად კი აფასებს, თუმცა არაერთი კითხვა აქვს დეტალებთან დაკავშირებით.

„აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტი ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა ისე, რომ არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ამ სფეროში მუშაობს, არ იყო ჩართული და მეტიც, ჩვენ არც კი ვიცოდით, რომ მსგავსი ინიციატივა მუშავდებოდა. არადა, დაახლოებით 7-8 წელია, ვითხოვთ მესამე პირის დაზღვევის ამოქმედებას, რომელიც ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებში აპრობირებული პრაქტიკაა და გამოცდილებამ აჩვენა, რომ კარგი ბენეფიტის მომტანია.

პირველი მოსმენის შემდეგ გამოჩნდა, რომ კანონპროექტი საკმაოდ კარგადაა მომზადებული, თუმცა გვაქვს შენიშვნები ტარიფებთან დაკავშირებით. თუ ძალიან კარგად არ აუხსნის მოსახლეობას სახელმწიფო აღნიშნული კანონის სიკეთეს, დიდი უკმაყოფილება მოჰყვება, რაც პროცესს დააზარალებს“, — აცხადებს იზორია.

გეჭა დანელია

სადისტრიბუციო მანქანების შემდეგ თბილისში დიდგაბარიტიან ავტომობილებსაც შეზღუდავენ

ქალაქის მერიის ინფორმაციით, სადისტრიბუციო მანქანებისთვის მუშაობის საათებით გაწერილი სქემა ზაფხულის შემდეგ გახდება ცნობილი, რაზეც კერძო სექტორთან მუშაობა, პრაქტიკულად, დასრულებულია. რაც შეეხება დიდი მოცულობის ავტომობილების მოძრაობის შეზღუდვას, აქ ჯერ ყველაფერი დასადგენი და გასაანგარიშებელია.

ვიცე-მერის მაია ბითაძის თქმით: **„ტექნიკური ნაწილი შემოსავლების სამსახურთან მთლიანად შეთანხმებულია. ამის ამოქმედება შესაძლებელია, უბრალოდ ძალიან სიფრთხილით ვეკიდებით ამ საკითხს, რადგან გარდა სადისტრიბუციო მანქანებისა, ამ ნაწილში ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიდი გაბარიტების მქონე მანქანების გადაადგილების გრაფიკსაც შევთავაზებთ. ეს არ უნდა იყოს სპონტანური გადაწყვეტილება. ვფიქრობთ, რომ ზაფხულის მერე მზად ვიქნებით, რომ სქემა ავამუშაოთ“,** — განაცხადა მერის მოადგილემ.

ჟერ კიდევ შარშან თბილისის მთავრობა სადისტრიბუციო მანქანების ღამის საათებში მუშაობის ინიციატივით გამოვიდა, რაც დღის განმავლობაში დედაქალაქის საცობებისგან განტვირთვის ერთ-ერთ გზად განიხილება. თავდაპირველად, ამ მხრივ შეზღუდვების დაწესება 2018 წლის ზაფხულში იგეგმებოდა.

სადისტრიბუციო კომპანიები თვლიან, რომ ცვლილებები ქალაქს საცობისაგან ვერ გაანთავისუფლებს.

სამაგიეროდ, რეგულაციები მეწარმეებს შეუქმნით პრობლემას და პროდუქციის რეალიზებას შეამცირებს.

წვრილი და საშუალო მაღაზიების წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ პროცესებმა შესაძლოა, მათი სავაჭრო ობიექტები დახურვის საფრთხის წინაშე დააყენოს.

დისტრიბუტორთა ასოციაციის დამფუძნებლის განმარტებით, დისტრიბუციის ავტომანქანების ღამის საათებში მოძრაობა ქალაქში ავტომანქანების რაოდენობას არ შეამცირებს. ღამე დიდგაბარიტიანი მანქანების გადაადგილება და საქონლის ჩამოტვირთვა კი გამოიწვევს ხმაურს და მოსახლეობას დისკომფორტს შეუქმნის

„თუ პატარა მაღაზია ღამის დისტრიბუციაზე უარს იტყვის იმის გამო, რომ ცვლილება ხარჯებს გაუძვირებს, თავის გადარჩენის მიზნით, თავად წავა ბაზარში და მოიტანს პროდუქტს, ანუ ის მანქანა ქალაქში მაინც იმოძრავებს. ცვლილება გააჩენს იმ პრობლემას, რომ აღურიცხავი საქონლის რაოდენობა გაიზრდება. წვრილი სავაჭრო ობიექტები თვითმმარაგებაზე გადავლენ, რომ ხარჯი ნაკლები ჰქონდეთ.

კიდევ ერთი უარყოფითი ფაქტორი, რაც ამ ცვლილებას ექნება, არის ის, რომ ღამის დისტრიბუცია გამოიწვევს ხმაურს, რაც მოსახლეობას დისკომფორტს შეუქმნის“, — აცხადებს ივა ჭყონია.

პარლამენტში დადგენილებაა მიღებული, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობები გადწყვეტენ, რომელ პერიოდში შეძლებენ სადისტრიბუციო მანქანები გადაადგილებას. სატრანსპორტო პოლიტიკა თბილისის მერის საარჩევნო დაპირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

რაც შეეხება სხვა დიდგაბარიტიანი ავტომობილების გადაადგილების შეზღუდვას, ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ჯერ არ ვრცელდება. არც ის არის ცნობილი დიდი მოცულობის მანქანებში, რომელი ტიპის ტრანსპორტი — მხოლოდ სატვირთო მანქანები და სპეცტექნიკა თუ ავტობუსები და მინივენებიც იგულისხმება, რომლებიც დღის განმავლობაში განუწყვეტლივ გადადგილდებიან დედაქალაქის ქუჩებში.

დათო გეჭაური

კულტურას უდიდესი მოთმინება შეუძლია, მაგრამ...

გვესაუბრება ცნობილი არქიტექტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, არქიტექტორთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ლეგენდარული მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის თანამოაზრე და მისი შემოქმედების ჭირისუფალი, არქიტექტორთა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი ვახტანგ დავითაია.

მჯერა, მომავალ თბილისობას შევხვდებით დავით აღმაშენებელთან ერთად!

– ბატონო ვახტანგ, ჩვენი გაზეთის 15 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა თბილისის საპატიო მოქალაქეების ღია წერილი თბილისის მერის ბ-ნ კახა კალაძისადმი, დავით აღმაშენებლის ძეგლის მის ძველ არეალში, დედაქალაქის ცენტრში გადმოტანის საკითხზე. წერილი გამოხატავს ჩვენი საზოგადოების პოზიციას. თქვენ, როგორც აღმაშენებლის ძეგლის ახალ ადგილზე დადგმის პროექტის თანაავტორს, ადამიანს, რომელმაც ამ საკითხის ყველა ნიუანსი იცის, რითი ხსნით იმას, რომ „ოცნებამ“ ჩვეული დაპირების მიუხედავად, მეშვიდე წელია, ვერ მოაგვარა დიდი მეფის ღირსების აღდგენა-რეაბილიტაცია?

ასევე, განსაკუთრებით საინტერესოა მერიის ყურადღება თბილისის საპატიო მოქალაქეების მიმართვისადმი. ორმოცი დღე საკმარისი უნდა იყოს, თუნდაც იმისთვის, მერიას საჯარო განცხადება მაინც გაეკეთებინა, იქნებ საორგანიზაციო ჯგუფმა ან თქვენ მიიღეთ რაიმე პასუხი?

ვახტანგ დავითაია: მინდა, გამოვხატო ჩემი პატივისცემა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისადმი“, რომელიც ასი წლის მანძილზე, უდიდესი რყევების პირობებშიც, მხარში ედგა ქვეყანას, მის სასიცოცხლო ინტერესებს. განსაკუთრებული მადლობა პრინციპული თანადგომისთვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ დიდი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის ძეგლების მიმართ ვანდალიზმის მხილებაში (ქუთაისის გამარჯვების მემორიალის აფეთქება, დავით აღმაშენებლის ძეგლის გაძევება დედაქალაქის ცენტრიდან აბსოლუტურად შეუფერხებელ ადგილას, ინტენსიურ სატრანსპორტო არტერიაზე).

აძვე გულწრფელად ვიტყვი: მაძვს შეგრძნება, რომ დღეს თბილისს ჰყავს ღირსეული პატრონი. პრობლემები თავზე საყრელია, არის, იყო და იქნება, მაგრამ იმედი მეტია, ვინემ ოდესმე. არც მერის, ბატონი კახა კალაძის პიროვნული მონდომება და პრობლემის მოგვარების სურვილია მეორეხარისხოვანი! ამას ხაზგასმით აღვნიშნავ, რადგან ძვემოთ უარყოფითზე უფრო მეტი იქნება საუბარი და არ მინდა, ნაბან წყალს გავშვიც გადავაყოლო.

– მე თქვენ გთხოვეთ პასუხი ერთ მთავარ კითხვაზე, რით ხსნით იმ ფაქტს, რომ „ოცნებამ“ 7 წელიწადია, ვერ მოაგვარა დიდი მეფის ღირსების აღდგენა - მისი რეაბილიტაცია და რა პასუხია მერიიდან საპატიო მოქალაქეების მიმართვაზე?

– მეც 7 წელია, ვფიქრობ ამაზე, ცხოვრებისეული გამოცდილებაც ნამდვილად არ მაკლია, მაგრამ ვერაფერი გავიგე. „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ ჩემი პუბლიკაცია „მერაბი ჩემს დღიურებში და დავით აღმაშენებლის თავგადასავალი“ (თბილისის მერიის, საკრებულოს და საქართველოს მთავრობის გასაგონად) – **„საქართველოს რესპუბლიკა“ 9 ივნისი, 2017 წ.**, სადაც დღიურების სახითაა აღწერილი პერიპეტიები, რაც დავით აღმაშენებლის ძეგლს „გადახდა“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან მერაბ ბერძენიშვილის გარდაცვალებამდე (IX. 2016). განმეორება არ ღირს. ამ ქრონიკებში „ერის კაცებად“ ვერ გამოიყურებიან იმ პერიოდში მოღვაწე ქვეყნის პირველი პირები, თბილისის მერიის და საკრებულოს მაშინდელი თავკაცები.არადა მათ ჰქონდათ უნიკალური შანსი ისტორიაში შესულიყვნენ ღირსეულად, ეროვნული საქმით. ამ შვიდწლიანი აბსურდის ილუსტრაციად ერთ ჩანაწერს მოვიყვან:

19.VII.2016. „დარეკა მერაბმა, ოპერაციას დავთანხმდი, სხვა გზა არ არის, დინებას მივყვები, ვერაფერს შევცვლი, შევეგუე... **დავითი დარდად მიმყვება, როგორ დავტოვო დიღმის ტრასაზე“** – ამ ციპალიტეტებში არსებული მონუმენტების და მემორიალების უკიდურესად შელახული სახის პრობლემაზე, მათი რეაბილიტაციის აუცილებლობაზე.

ამ შეხვედრებიდან დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მათთვის ეს მონუმენტები და მემორიალები კულტურული ღირებულება კი არა, ტვირთია, რომელსაც, შესაძლებელი რომ იყოს, სიამოვნებით გაასხვისებდნენ.

ეს მონუმენტები და მემორიალები მდებარეობენ ზემოთ ხსენებული ქალაქების ცენტრებში. მერები, მათი მოადგილეები, საკრებულოს წევრები, დღეში სამჯერ მაინც ჩაუვლიან მათ, არცთუ იშ-

ტკივილით ჩავიდა გენიალური მოქანდაკე საფლავში.

ვფიქრობ, მთავარი მიზეზი მოქალაქეობრიობის დეფიციტია, ეროვნულობის, სულიერების დაქვეითებაა, ხელმძღვანელი ელიტის დაბალი მოთხოვნილება ქართული კულტურის ფენომენისადმი. ქვეყანას ხომ ძირითადად, ეკონომისტები, იურისტები და ბიზნესის წარმომადგენლები მართავენ. მათი პრიორიტეტები, მიზნები განსხვავებულია. რა, ხშირად ხედავთ ქვეყნის ხელმძღვანელებს, მინისტრებს, დეპუტატებს თეატრალურ პრემიერებზე, მხატვართა გამოფენებზე, კონსერვატორიაში, წიგნების პრეზენტაციაზე, იუბილეებზე, სხვა კულტურულ აქციებზე? ამ მხრივ ქვეყანაში მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია უარყოფითისკენ.

ამ შვიდი წლის მანძილზე არაერთგზის შევხვდი თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, ფოთის, გორის, სენაკის ხელმძღვანელობას ერთადერთ საკითხზე, მათ მუნიციპალიტეტებში არსებული მონუმენტების და მემორიალების უკიდურესად შელახული სახის პრობლემაზე, მათი რეაბილიტაციის აუცილებლობაზე. ეს ზუსტად ასახავს თბილისის მერიის მუშაობის დღევანდელ სტილს. ადამიანები, ვისაც კი მერიასთან რაიმე საქმე ჰქონია, აღნიშნავენ საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურებას, თანამშრომელთა, განსაკუთრებით ქვედა რგოლის თანამშრომელთა არაპროფესიონალიზმს, არაკომპეტენტურობას, უყურადღებობას!

მე სათანადო ძალისხმევის და ლოდინის შემდეგ შევხვდი ბატონ კახი კალაძეს, მოგვიანებით ვიცემერს, ქალბატონ სოფიო ხუნწარიას. გავიდა 3 თვე, შედეგი არ ჩანს. დარჩა კიდევ ერთი გზა, მოვიძიოთ აღმაშენებლის მიერ საქართველოში ჩამოსახლებული ყივჩაღების მოდგმა, ამბობენ შუა აზიაში არის ორი სოფელი, სადაც ისინი ცხოვრობენ.... **იქნებ ყივჩაღების თხოვნას გაუწიონ ანგარიში. ეს იდეა ეკუთვნის ჩვენს გამოჩენილ კინორეჟისორს, დოკუმენტალისტს, მრავალ საერთაშორისო კინოკონკურსის ლაურეატს გოგი თორაძეს, რომელიც ამთავრებს ფილმს დავით აღმაშენებელზე.**

კულტურას ერთი „სუსტი“ მხარე აქვს – მას უდიდესი მოთმინება შეუძლია, ის არ ისვრის, კარვებს არ შლის, სახელმწიფო გადატრიალებით არ იმუქრება, ერთი სიტყვით, კულტურა იცდის, ელოდება, მაგრამ მას კოლოსალური ძალა აქვს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.

მე მაინც მჯერა, რომ კახა კალაძის ძალისხმევით, მომავალ თბილისობას პირველი რესპუბლიკის ანუ „ივერიის“ მოედანზე დავით აღმაშენებელთან ერთად შევხვდებით!

ესაუბრა
რუსუდან ქოჯულაძე

ფული არის, მშენებელი – არა!!!

2018 წელს განუხორციელებელი პროექტები!

2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული 64 კაპიტალური პროექტიდან 12 პროექტი ადგილიდან არ დაძრულა! შეუსრულებელ პროექტებს შორის არის ანაკლიის პორტთან მისასვლელი საავტომობილო გზის და რკინიგზის მშენებლობა, რომლისთვისაც ბიუჯეტიდან 11 000 000 ლარი იყო გამოყოფილი. ამ სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებული ტენდერი სამჯერ ჩაიშალა.

შეუსრულებელი კაპიტალური პროექტების ჯამურმა ღირებულებამ 2018 წელს 182 200 000 ლარი შეადგინა.

შეუსრულებელი პროექტების სია ასე გამოიყურება:

- ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან (კოპიტნარი) სატრანსპორტო კვანძის მოწყობა. წლიური გეგმა: 10 000 000 ლარი;
- მდინარე დებედაზე ხიდის მშენებლობა. წლიური გეგმა: 5 000 000 ლარი;
- ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა- მოდერნიზაცია. წლიური გეგმა 25 000 000 ლარი;
- მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა. 53 000 000 ლარი;
- მდინარე რიონზე ფოთის ხიდის მშენებლობა: 10 000 000;
- თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის კმ20-კმ50 ლოჭინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა. წლიური გეგმა: 25 000 000 ლარი;
- საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი; 1 000 000 ლარი;
- ქობულეთის წყალარინების პროექტი; წლიური გეგმა 3 000 000 ლარი;
- თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგო ეფექტურობის გაზრდის პროექტი; წლიური გეგმა 10 200 000 ლარი;
- აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი ; წლიური გეგმა 4 000 000 ლარი;
- თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა; წლიური გეგმა 25 000 000 ლარი.

აუდიტის სამსახური პრობლემურად მიიჩნევს იმასაც, რომ გარდა ამ 12 პროექტისა, რომლებსაც შესრულების მინიმალური მაჩვენებელი აქვს, პროექტების დიდი ნაწილი თანხას მხოლოდ ნაწილობრივ ითვისებდა გასულ წელს და შესაბამისად, სამუშაოებსაც ნაწილობრივ ასრულებდა. 64 პროექტიდან 22-ს შესრულების 80%-ზე დაბალი მაჩვენებელი აქვს. მაგალითად, ქუთაისი წყალანირების პროექტზე, რომლის გეგმა წელიწადში 3 მილიონი ლარის სამუშაოების შესრულება იყო, მხოლოდ 41 390 ლარი დაიხარჯა და პროექტი 1%-ით შესრულდა.

დაგეგმილი პროექტების ვერშესრულება ან არასრულად შესრულება წინა წლებშიც პრობლემური იყო.

მაგალითად, 2017 წელს სრულად შეუსრულებელი დარჩა 46 800 000 ლარის ღირებულების 13 კაპიტალური პროექტი, 2016 წელს შეუსრულებელ პროექტებში კი ვხვდებით აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტს, რომელიც 2018 წლის შეუსრულებელ პროექტებშიც არის მონიშნული. ამ პროექტისთვის თანხები EBRD-საც ჰქონდა გამოყოფილი.

ნასტია არაბული

წერილები მაგნოლიების ქალაქიდან



ვინ მოკლა ლეიბა ტროცკი?

2008 წელს გამომცემლობა „სვაროგმა“ დაბეჭდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, რუსეთისა და საქართველოს რამდენიმე აკადემიის ნამდვილი წევრის **ვლადიმერ ვახანიას „იოსებ ბესარიონის ძე სტალინის პირადი საიდუმლო სამსახური“,** რომელშიც წარმოდგენილია ი.ბ. სტალინის პირადი დაზვერვისა და კონტრდაზვერვის თანამშრომლების მიერ შედგენილი აგენტურული პატაკები, სპეციალური შეტყობინებები, საინფორმაციო მასალები, ცნობები და მოხსენებითი ბარათები.

ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: **„აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სტალინი კაცობრიობის ისტორიაში შევიდა, როგორც უგამორჩეულესი პოლიტიკური მოღვაწე, ვისი ეპოქაც ბოლომდე შესწავლილი და გამოკვლეული ჯერ კიდევ არ არის. ამასთან გვერდს ვერ ავუვლით იმ გარემოებას, რომ სტალინი ქართველია და, როგორც პიროვნება, ქართველი ხალხის დიადი მემკვიდრეობის, მისი უმდიდრესი ისტორიისა და თივთმყოფადობის წარმომსახველია“.**

ავტორის აზრით, სტალინის ერთ-ერთი დამსახურება ისიც არის, რომ შექმნა პირადი საიდუმლო სამსახური, რომელიც არასოდეს ყოფილა აფიშირებული, და ამოცნობილი, რომლის გამოყენებით მან შეძლო ბევრი ისეთი გადაწყვეტილებისა და საქმის განხორციელება, რომელიც დღესაც აისახება მსოფლიო პოლიტიკაში.

ჩემი ფიქრით, ამ მეტად მნიშვნელოვან გამოცემაში წარმოდგენილი პატაკები და აგენტურული და სპეციალური შეტყობინებები ძალიან ძვირფას წყაროებს შეიცავს, რაც წაადგება ისტორიის მკვლევარებს.

ამ საინტერესო წიგნის ანალიზი არ შედის ჩემს კომპეტენციაში და არც ვაპირებ. ჩემი მიზანია, ნათელი მოვფინო ა.ჯუღას ერთ პატაკს, რომელიც ეხება ლეიბა ტროცკის მკვლელობას და რომელშიც, ჩემი ფიქრით, უნებლიე თუ არ ვიცი, რა დავარქვა, შეცდომაა დაშვებული. პატაკში ვკითხულობთ: „1940 წლის 21 აგვისტოს ტროცკი, რომელსაც სსრკ შინსახკომის აგენტმა ალპინისტური წერაყინი თავში ჩაარტყა, 19 საათსა და 23 წუთზე მექსიკის ერთ-ერთ კლინიკაში გარდაიცვალა.

თავდასხმა ტროცკიზე, რომელსაც დაუსწრებლად მისჯილი ჰქონდა სიკვდილი, განახორციელა სსრკ-ის შინსახკომის თანამშრომელმა, სახელმწფიო უშიშროების კომისასრმა ლეონიდ ეიტინგონმა (ფსევდონიმები: ამხანაგი კოტოვი და გენერალი ლეონოვი)“.

ჯერ ერთი, დასაზუსტებელია ჰქონდა თუ არა დაუსწრებლად სიკვდილი მისჯილი? ვიცით, რომ სტალინმა ტროცკის დახვრეტის წინააღმდეგ წავიდა და მოითხოვა მისი სსრ კავშირიდან გაძევება. ასეც მოხდა. აქ მეორე და მთავარი შეცდომა ისაა, რომ ტროცკისთვის მთამსვლელის

რ. მერკედერი და ლ. ტროცკი

წერაყინი სახელმწიფო უშიშროების კომისარს ლეონიდ ეიტინგონს არ ჩაურტყამს. იგი ამ ოპერაციის ხელმძღვანელი იყო. პირველი მცდელობაც აშკარად ჩავარდა.

1940 წლის შუა რიცხვებში სტალინს უკვე ჰქონდა ინფორმაციები ჰიტლერის ომისათვის მზადებისა და საბჭოთა კავშირზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. საბჭოთა ლიდერი ვარაუდობდა, რომ ჰიტლერი შეეცდებოდა მის გადაბირებას. ამიტომაც საჭირო გახდა ტროცკის ლივკიდაცია.

ტროცკი სსრკ-დან გააძევეს 1929 წლის 10 თებერვალს, ოთხ წელიწადს თურქეთში დაჰყო. შემდეგ იყო დანიაში, ნორვეგიაში, საფრანგეთში. ბოლოს მექსიკაში მეხიკოს გარეუბან კოიეოანში ცხოვრობდა. ეიტინგონის პირველმა შეიარაღებულმა თავდასხმამ ფიასკო განიცადა. შეუდგა მეორე ვარიანტის განხორციელებას. ოპერაციაში ჩართო ესპანელი კომუნისტი რამონ მერკედერი, რომელმაც მოიპოვა ტროცკის მდივნის სილვია აგელოფის თანაგრძნობა. მისი მეშვეობით შეაღწია ტროცკის ბინაში და 1940 წლის 20 აგვისტოს მთამსვლელის წერაყინი თავში ჩაარტყა. 21 აგვისტოს, 19 საათსა და 20 წუთზე ტროცკი გარდაიცვალა. იმავე წელს კალინინმა სსრ კავშირის გმირობა მიანიჭა. მალე ესპანეთში გაასამართლეს და 20 წლით პატიმრობა მიესაჯა. სასჯელი პატიოსნად მოიხადა, 1960 წლის 20 აგვისტოს გათავისუფლდა. მოსკოვში სხვა სახელითა და გვარით ჩამოვიდა. ზოგი წყარო იუწყება, რომ იგი მიიღო კაგებეს თავმჯდომარემ შელეპინმა და ლენინის ორდენი და სსრ კავშირის გმირის ვარსკვლავი გადასცა. მეორე ვერსიით, ჯილდო ხრუშჩოვს გადაუცია. 1970 წელს კუბაში ჩავიდა და გარდაცვალებამდე (1988) კასტროს მრჩეველი იყო.

მერკედერი მოსკოვში გადმოასვენეს და კუნცევოს სასაფლაოზე დაკრძალეს სსრ კავშირის გმირის რამონ ლოპესის გვარ-სახელით.

უკრაინის ავტოკეფალია და ნაცების კიდევ ერთი ანტიქართული დემაგოგია

ნაცმოძრაობის **აღვირახსნილ დემაგოგიასა და პოლიტიკურ სპეკულაციას, რომელიც პოლიტიკურ პროსტიტუციაში გადაიზარდა, საზღვარი არა აქვს. ახლა, როცა პრეზიდენტის ინაუგურაცია მშვიდობიანად ჩათავდა, ჩაშლის მცდელობა საპნის ბუშტივით გასკდა და ვენესუელას სცენარიც ჩავარდა, იერიში მიიტანეს საპატრიარქოზე. ნაცმოაძრაობის, გირჩების და ევროპული საქართველოს, ისე დაუმშვენდათ ცხვირ-პირი, აქტივისტები თითქმის ყველა არხზე გაჰკივიან, საპატრიარქომ რატომ არ მიულოცა უკრაინელ ხალხს ავტოკეფალიაო და პირიდან დორბლებს ყრიან. ვინ ეკითხება გიგა ბოკერიას ან ვისი ფეხებია ეგ სალახანა, რას განაცხადებს საპატრიარქო და რას არა?!**

არც საპატრიარქომ და არც არავინ სხვამ ამ თემაზე განცხადება არ უნდა გაავრცელოს. საპატრიარქომ და სინოდმა იცის თავისი საქმე და ვის რა მიულოცოს ბოკერიას მოკლე ჭუის განსასჯელი არ არის. პატივი და დიდება უკრაინელ ხალხს, მაგრამ უკრაინის დღვანდელი ხელისუფლება და პირადად პრეზიდენტი პოროშენკო ჩვენი ქვეყნის მეგობარი არ არის. ასე რომ არ იყოს, მაშინ საქართველოს მტრებს, სააკაშვილის რეჟიმის კრიმინალ-ჩინოვნიკებს უკრაინაში მაღალ თანამდებობებს არ ჩამოურიგებდა, როცა სააკაშვილი თავად პოროშენკოს გაეჩხირა ყელში, უკრაინიდან ძაღლივით გააგდეს, მაგრამ საქართველოს არ გადმოსცა.

ეგ მართლაც ნაძირალები, ჩვენს ქვეყანაში თავქუდმოგლეჯილი იბრძვიან მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. ბოკერია არ იყო, მუშტები რომ უბრახუნა პატრიარქის მაგიდას?! ძალიან კარგად იციან, რომ თუ სინოდი აღიარებს უკრაინის ავტოკეფალიას, რომელიც არცთუ ისე სამართლიანია, პრობლემები შეგვექმნება. სწორედ აქითკენ მიერეკებიან, ყველა ღონეს ხმარობენ, რათა დაიძაბოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და პრობლემები შეექმნას საქართველოს. მათი მიზანია, წყალი აამღვრიონ და სააკაშვილის კრეისერი „ავრორა“ შემოაცურონ. ვერ ეღირსებიან.

დარწმუნებული ვარ, საპატრიარქო და მისი სინოდი კვლავაც იღვაწებს იმ პოსტულატების მიმართულებით, რაც ჩვენს ქვეყანას მშვიდობას და კეთილდღეობას მოუტანს.

მართლმადიდებლობა ჩვენი სამშობლოს მთავარი ბურჯია და მის შერყევას ტყუილად ცდილობენ საქართველოს შინაური მტრები, გარეშეზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ჩემი ფიქრითა, და არა მარტო ჩემი, უკრაინის ავტოკეფალია, ფაქტობრივად, უფრო იზღუდება სტამბოლის საპატრიარქოში, რადგან თვით სტამბოლის საპატრიარქოა შეზღუდული გავლენისა და უფლებებისაგან, ვიდრე რუსეთის. ისიც ცნობილია, რომ უკრაინას არა აქვს მირონის ხარშვის უფლება, ამას იგი რუსეთიდან უფასოდ ღებულობდა, ახლა კი სტამბოლის საპატრიარქოდან უნდა იყიდოს. გარდა ამისა, ახლა უკრაინას ეგზარქოსს სტამბოლიდან დაუნიშნავენ. ისიც ფაქტია, რომ უკრაინის ბევრი ეპისკოპოსი ამას მხარს არ უჭერს და მხოლოდ ხელისუფლების ექსტრემისტული ძალების მისწრაფებაა.

იბადება ძალიან ლეგიტიმური კითხვა, რატომ უნდა აღიაროს საქართველოს ეკლესიამ უკრაინის ავტოკეფალია, როცა მსოფლიოს არც ერთ მართლმადიდებლურ ეკლესიას არ უღიარებია?! სასურველია ჩვენი ეკლესიის წმინდა სინოდის ზოგიერთი წევრი თავის ანაფორაში დაეტიოს და საკაშვილის კლანჭებში ნუ მიძვრება. ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ყველაზე უკეთ იცის, რა აღიაროს და რა – არა!

უფალი შეეწიოს საქართველოს და ქართველ ხალხს!

მკვლელობა ნეაპოლში

სულისშემძვრელი ინფორმაცია გაავრცელეს ჩვენმა ტელეარხებმა. იტალიის ქალაქ ნეაპოლში ვერაგულად მოკლეს ევროპაში ცნობილი ქართველი ფერმწერი, 50 წლის ქალბატონი თამარ მოდებაძე. იგი სიცოცხლეს გამოასალმა ჩვენმა თანამემამულემ, მის მიერ წლობით ნაგროვები გარკვეული თანხის მითვისების მიზნით. ვფიქრობ, იტალიის სამართალდამცავები ადვილად გახსნიან საქმეს, რადგან სავარაუდო მკვლელი ცნობილია. მას იცნობდნენ მსხვერპლის მეგობარი ქართველი ქალბატონები, რომლებიც ნეაპოლში ცხოვრობენ.

თამარ მოდებაძე

მაინც ვინ იყო ქალბატონი თამარ მოდებაძე?

როგორც წყაროები იტყობინებიან, თამარი იყო ძალიან ნიჭერი მხატვარი, რომლის ტილოები საშუალოდ 3000 ევროდ ფასდება. მისი ტილოები გამოფენილია ევროპულ მუზეუმებში, წარმოდგენილია მდიდრულ კატალოგებში, არაერთი პრესტიჟული ჯილდოც მიუღია. მისი შემოქმედებისათვის ვრცელი სტატია მიუძღვნია პარმის უნივერსიტეტის პროფესორს რებეკა როსეტს. უნივერსიტეტის პროფესორი პროფესიულად განიხილავს ფერწერულ ტილოს, რომელსაც „ხუთი განზომილება“ ჰქვია. რებეკა როსეტი ამ ნამუშევარს ლეონარდო და ვინჩისას ადარებს. შეიძლება ეს შეფასება გადაჭარბებულიც კი იყოს, მაგრამ თავად ეს ფაქტია ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი. მოწონება ხვდა ასევე თამარის კიდევ ერთ ნამუშევარს. ეს არის მისი „მისტიკური მზერა“. ისიც მნიშვნელოვანია, რომ მისით დანიის ხელოვნების მუზეუმიც დაინტერესებულა. ეს ტილო ევროპის ხელოვნების მუზეუმის საუკეთესო ნამუშევრების სიაშიც კი შეუტანიათ. ეს ყველაფერი უჩემოდაც იცის მკითხველმა. ჩემი მთავარი სათქმელი სულ სხვაა:

დასანანი და სავალალო ის უფროა, ევროპაში აღიარებული ფერმწერის შემოქმედებას საქართველოში არ ვიცნობთ. სავალალო და საქართველოს სირცხვილი ის უფროა, ასეთი ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი ნეაპოლში მოჯამაგირედ იდგა ერთ-ერთი იტალიელის ოჯახში.

ქალბატონი თამარი საკუთარი სამშობლოს გულცივობისა და უსუსურობის მსხვერპლია. დამოუკიდებლობის დღიდან(1991წ.) დღითი დღე უარესდება შემოქმედი ადამიანების ცხოვრება.

თამარ მოდებაძის სიკვდილი კიდევ ერთი და მერამდენე შეხსენებაა იმისა, რომ ჩვენში შემოქმედი ადამიანები სასიკვდილოდ ვართ განწირულნი. როცა ეს ინფორმაცია მოვისმინე, თავბრუ დამესხა და ვალიდოლი დამჭირდა. ქვეყანა, რომელიც თავის ნიჭიერ შვილებს ასე გასწრიავს, მომავალი არ უწერია.

საინტერესოა რისი მაქნისია საქართველოს საელჩო იტალიაში, რომლის შენახვაზე დიდძალი თანხა იხარჯება და რომელიც ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობის ჯიბიდან არის ამოღებული. ნურავინ მეტვყის, რომ საბიუჯეტო თანხები ზეციდან ცვივა. იცოდა თუ არა საქართველოს ელჩმა ასე წარმატებული მხატვრის არსებობა იტალიაში და თუ დაინტერესდა მისი ცხოვრებით, თუ ჩააყენა საქმის კურსში ჩვენი ქვეყნის საგარეო უწყება და კულტურის სამინისტრო, რატომ არავინ იზრუნა სამშობლოში მის დასაბრუნებლად და შემოქმედებითი მუშაობის ელემენტარული პირობების შესაქმნელად. ჩვენს სახელმწიფოს სახელმწიფოებრივად და ეროვნულად მოაზროვნე ჩინოვნიკების ნამდვილად უჭირს.

რამ აიძულა ნიჭიერი ქალბატონი, უცხოეთში გადახვეწილიყო ლუკმა-პურისათვის? ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებში შემოქმედებითი მოღვაწეები(ვთქვათ აზერბაიჯანში, სომხეთში და სხვაგანაც) სახელმწიფო სტიპენდიებს იღებენ. ხომ შეიძლებოდა, ისედაც გაბერილი ჩინოვნიკების ჯამაგირის გასამაგების ნაცვლად, 200-ლარიანი სტიპენდია დაენიშნათ ცნობილი მწერლებისა და მხატვრებისათვის. ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი თუ დაფიქრდება ამ საკითხზე, ნამდვილად იქნება მამულიშვილური საქმე. საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა დროულად უნდა გაასაჯაროოს, იყო თუ არა ინფორმირებული იტალიაში აკრედიტებული საქართველოს ელჩისაგან ამ დონის მხატვრის ნეაპოლში ცხოვრებისა და ზოგადად არსებობის შესახებ.

მე ნამდვილად არ ვიცი, როდის გადმოასვენებენ სამშობლოში. მოვუწოდებ კულტურის სამინისტროსა და მხატვართა კავშირს, დაუყოვნებლივ მოაწყოს ცისფერ გალერეაში თამარ მოდებაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა და ფართოდ გააშუქოს პრესამ და ტელეარხებმა. ამით ჩვენი სამშობლო ნაწილობრიც მაინც მოიხდის ვალს, თავის მიერ განწირული შვილის წინაშე.

ჩვენ არ გვყავს უცხოეთში დასაკარგავი შვილები!

ზოთა ზოიძე,
მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

დასასრული. დასაწყისი იხ. №39

„ცხოვრებაში ყოველივეს ვერ იხილავ, ზოგიერთი შენ გიხილავს“

ასე ამბობდა ელისაბედ ტეილორი

ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

„კლეოპატრას“ ცრემლები

მეტად საშიში ვითარება იყო, დამცველი არავინ არ ჩანდა. ხალხს ეგრევე შეეძლო იმ ქალის თვითგასამართლება, ვისაც მრუშობა ბრალდებოდა. შიში ერთი წუთითაც არ ტოვებდა ელისაბედს. „ცხადია, – ამბობდა იგი, – უამრავთაგან ერთმა სტატისტმა დაიძახოს „დასცხე!“ – და მიწასთან გასწორდება ყოველგვარი ჰუმანური პრინციპი“.

„ჰოლივუდის ვარსკვლავი“ უკიდურესად დაძაბული იყო, თუმცა გადაღების შეჩერებას და საკუთარი შიშის გათვალსაჩინოებას მაინც არ აპირებდა. მეტიც, გადაღების დღეების გახანგრძლივება და რომის გადაქცევა ერთ დიდ გადასაღებ მოედნად შეუძლებელი იყო. თანაც რამდენიმე ათას სტატისტს არ შეეძლო ერთი და იმავე სცენის რამდენჯერმე გადაღება და ამ უაღრესად ემოციურ და დაძაბულ მომენტში „კლეოპატრას“ მაგივრად, ბრბომ დაიძახა – „ლიზ!“

ტეილორი იხსენებდა: „რა თქმა უნდა, სტატისტნი თავიანთი შეძახილით კი არ განმიკითხავდნენ, არამედ მომემშვიდობებოდნენ! რომაელთათვის თურმე სულერთი იყო, პირველ გვერდებზე გაზეთები მლანძღავდნენ, ვატიკანი მწყევლიდა თუ ჩინოვნიკები ცოფებს ყრიდნენ. უბრალო რომაელები მიხვდნენ, რომ გულწრფელად ვიყავი შეყვარებული. რასაკვირველია, ადამიანის საქციელის გაკრიტიკება შეიძლება, მაგრამ სიყვარულის გაკიცხვა არ ეგების. თუ ადამიანები ამას იზამენ, თუ სიყვარულს გაკიცხავენ, მაშინ ამ დედამიწაზე ცხოვრების ღირსნი აღარ ვიქნებით“.

სცენა რომ დამთავრდა და გაისმა „სდექ!“ „ჰოლივუდის დედოფალმა“ თავი დაუკრა არა კეისარ ჰარისონს, არამედ სტატისტებს, აგრეთვე იმათ, ვინც რომაელთ თამაშობდა და მიემშვიდობებოდა ელისაბედ ტეილორ-კლეოპატრას, რომლისთვისაც სიყვარულისთვის ყველაფერი მიეტევებინა.

ელისაბედი ცრემლად იღვრებოდა იმ დღეს ბედნიერებისგან. იისფერი თვალები თითქოს გაფერმკრთალებოდნენ, მაგრამ მაინც ძველებურად უსხივოდნენ.

და ელისაბედ-კლეოპატრა ყველას გასაგონად ამბობდა: „ხალხო, ცხოვრება გიყვარდეთ, დანარჩენი კი თავისთავად მოგვარდება!“

ჯონ უორნერი და „ჰოლივუდის დედოფალი“

1976 წლის 8 ივლისს ელისაბედი ვაშინგტონში ჩავიდა, რათა დასწრებოდა მაღალი წრის ღონისძიებას ინგლისის საელჩოში. ღონისძიებას მართავდა დიდი ბრიტანეთის დედოფალი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პატივსაცემად შტატების 200 წლისთავთან დაკავშირებით. ვინაიდან ელისაბედს თანამგზავრი არა ჰყავდა, მან თავის ჰოლივუდელ პარიკმახერთან ერთად გადაწყვიტა წასვლა.

ელჩმა რემსბოტმა ელისაბედს მიმართა:

– ასეთ ოფიციალურ ღონისძიებაზე პარიკმახერთან ერთად მოსვლა უაღრესად ურიგო საქმეა.

რემსბოტმა ტეილორისთვის ბევრად ღირსეული კავალერი იპოვა, ის 49 წლის ჯონ უორნერი გამოდგა.

– წურბელასავით მოეკიდე, – უთხრა ელჩმა ჯონს. – ტეილორი დიდი ეშმაკის ფეხია, ცლინგური არ გიგდოს, ოინს რასმე არ წამოგაგოს და, რაც მთავარია, ხელიდან არ გაგიძვრეს, რადგან დღეს დედოფლისა და პრეზიდენტის ყურადღებაა მთავარი, მაგან არ გაგიტაცოს.

საღამოთი უორნერი სასტუმრო „მედისონ“-ში მივიდა ელისაბედთან შესახვედრად და დაურეკა, ელისაბედმა თავისი მდივანი ჩენ სემი გაგზავნა ვესტიბიულში, შემითვალიერე, აბა, ეგ ახალგამოჩეკილი კავალერიო.

– ცუდი ვინმე არ ჩანს, – მოახსენა მდივანმა. – ის კი არა, მომეწონა კიდეც.

„ავდექი და მე თვითონ ჩავედი ქვევით, – იგონებდა ტეილორი. – ჯონი ჩემკენ ზურგით იდგა და ერთადერთი, რაც დავუნახე, ლამაზი შეჭაღარავებული თმა იყო. მაშინვე მივხვდი, რომ ის იქნებოდა, რამეთუ ფრაკი მარტო იმას ეცვა. უცებ ჩემკენ შემობრუნდა: „ა, მისს ტეილორ!“ და უცებ სული შემეხუთა.“

ჯონის მამულებისკენ რომ მიდიოდნენ, ჯონი ხუმრობის ხასიათზე იყო და ენაკვიმატობდა: „მე მხოლოდ ძველი სოფლელი ფერმერი ვარ“. ამ დროს ისინი მიდლბურგის მოვლილი მინდვრების გაყოლებაზე მიდიოდნენ. მერე გრძელ მიხვეულ-მოხვეულ გზას გაუყვნენ, რომლის გასწვრივ ხეხილის ბაღი ყვაოდა და რამდენიმე წუთში ცალკე მდგარ ქვის სახლს მიადგნენ, რომელიც 1816 წელს იყო აშენებული და ოცი ოთახისგან შედგებოდა.

უორნერმა სტუმარს ჯერ ღვინის მარანი დაათვალიერებინა, მერე ექვსასი ხერეფორდშირული ძროხა უჩვენა და დასძინა:

– პირუტყვის ფასი რომ მატულობს, ცეკვა მინდება.

ამის შემდეგ მან ცხენების რემა მოანახულებინა, შეიარეს საქონლის ქარაბაკში, ნახეს დახურული აუზი, ჩოგბურთის მოედანი, საშაშხე, ბაღჩა-ბაღი, ტბორები, დაბოლოს, ხუთასი აკრის ზომის ნაკრძალი.

„ჩემს ფერმას რომ გაეცნო, ელისაბედის გული უკვე ჩემი იყო“, – თქვა ჯონმა მოგვიანებით.

შეხვედრა ზვიგენებთან

ერთხელ, ინტერვიუს დროს, შეკითხვაზე – წყლისა თუ გეშინიათო, ელისაბედ ტეილორმა მიუგო:

– არა, მეტადრე ახლა, წყალში ჩემი ძვლები ერთმანეთს არ ეხახუნება და არცრა ტკივილს არა ვგრძნობ.

– რამ უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ზვიგენების დანახვისას.

– არც მე შემშინებია იმათი და არც იმათ – ჩემი. წამიერად მომეჩვენა, რომ ხელის გაწვდენა და შეხება შემეძლო, მაგრამ გადავიფიქრე, სხვაგვარად ჩემს ბეჭდებს გამომრჩებოდნენ.

– ეგეთი უშიშარი ხართ?

– სამი წლიდან პონიზე ვიყავი ამხედრებული და ჩემს გემოზე დავაჭენებდი აღმა-დაღმა. პაპამ იმის გამო მაჩუქა, რომ, როცა სტუმრები ეწვეოდნენ, არცთუ ცუდად ვცეკვავდი და მუსიკის ხმოვანებაში ბოშასავით ვზავდებოდი.

– როგორ მიგაჩნიათ, სინამდვილეში ვინ ხართ?

ელისაბედმა მიუგო:

– მე ვარ ინგლისელი, შოტლანდიელი, ირლანდიელი, იტალიელი, ფრანგი, შვეიცარიელი და გერმანელი, – გვარიანად ვარ შეზავებული.

ელისაბედ ტეილორის რომანი ძვირფასეულობასთან

როგორც ცნობილია, ბრწყინვალე ელისაბედ ტეილორი ძალიან იყო შეეშხებული ძვირფასეულობაზე, მეტადრე კი ბრილიანტებზე. ერთხელ ელისაბედმა ჟურნალისტებს უთხრა: „დედამ მიამბო, რომ დავბადებულვარ, მთელი რვა დღე თვალები არ გამიხელია, მაგრამ თურმე როცა მაინც გავახილე, პირველი, რაც დამინახავს, ნიშნობის ბეჭედი ყოფილაო“.

„ჰოლივუდის დედოფლის“ ძვირფასეულობის კოლექცია 269 სახელწოდების საოქრომჭედლო სამკაულს ითვლის, ვინ იცის, სულ ერთად რამდენი კარატია, და ყველა რაღაც ამბავთან არის დაკავშირებული. „ჰოლივუდის დედოფლის“ კოლექციაში ბევრია ანტიკვარული ნაწარმიც და ახალი დროის საოქრომჭედლო ხელოვნების ქმნილებაც. სამკაულთა უმეტესი ნაწილი ქმართაგან მიძღვნილია.

თავისი პირველი სამკაული ნორჩმა ელისაბედმა შეყვარებულისგან ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისამ იძღვნა. ეს იყო 69 ხელოვნური მარგალიტისგან შემდგარი ყელსაბამი. ეს საჩუქარი ერთმა ახალგაზრდა კაცმა მიართვა, რომელიც მზეთუნახავ ელისაბედს გულში ჰყავდა ჩავარდნილი. უკვე მზად იყო, ცოლად გაჰყოლოდა, მაგრამ ქორწილი ჩაიშალა.

პირველმა მეუღლემ ნიკი ჰილტონმა ელისაბედს ნიშნობაზე 50-ათასდოლარიანი ბეჭედი შესძღვნა. ნორჩ მზეთუნახავს მაშინ ის იყო, 18 წელი შეუსრულდა. მესამე ქმარმა (მაიკლ ტოდმა) საყვარელ არსებას ბეჭედში ჩასმული დიდი შავი მარგალიტი აჩუქა. თუმცა ბევრად უფრო ძვირფასი და სახელიანი საჩუქრები მიართვა რიჩარდ ბარტონმა, რომელსაც ელისაბედი ორჯერ გაჰყვა ცოლად.

რიჩარდის სურვილი იყო, ყოველი სპეკალი, ანუ თვალი პატიოსანი ხელთ ჩაეგდო, რის გამოც ფარულ „ლალ-ბადახშთა ომში“ იყო ჩაბმული თვით არისტოტელე ონასისთან. თავის მხრივ ბერძენი მილიარდერი ბარტონთან დამარცხებას არ აპირებდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბარტონმა მაინც აჯობა ონასისს, თუ რამ ჰონორარი ჰქონდა აღებული, თითქმის მთლიანად გაიღო, რათა ახალი ბრილიანტით გაეხარებინა საყვარელი მეუღლე.

თვითონ „ჰოლივუდის დედოფალი“ რაოდენობის გულისთვის არ ყიდულობდა ძვირფასეულობას, ყველა სამკაული დაკვეთით იყო ნახელვეთილარი რომელიმე ცნობილი ოსტატის მიერ.

სამკაულთა ამ მდიდარ კოლექციას დღე-ღამის განმავლობაში იცავდნენ სეკიურიტები, თვითონ ელისაბედს

მუდამ თან დაჰქონდა ეს თავისი სამკაულთა კოლექცია, რომლის პატივგების ნიშნად გამოუშვა სახელობითი პარფიუმი (ინანთეული) სახელწოდებით „Whit Diamonds“ („თეთრი ბრილიანტები“).

ელისაბედი მარტო ამაზე არ გაჩერებულა და 2002 წელს გამოსცა წიგნი „ჩემი რომანი ძვირფასეულობასთან“, რომელიც თავის სამკაულთ მიუძღვნა.

„მე არასოდეს არ მიფიქრია ჩემს სამკაულებზე როგორც ნადავლზე, როცა გარდავიცვლები, ყველაფერს აუქციონით გაყიდიან და ვიმედოვნებ, ახალი მფლობელი კარგი პატრონი გახდება... ძვირფასეულობათა ჩემეული კოლექცია მსოფლიოში უბადლოა. სპეციალისტები 150 მილიონ დოლარად აფასებენ, ჩემი ვარაუდით კი, ბევრად მეტად გაიყიდება, იმიტომ, რომ ჩემეულია“, – წერდა ელისაბედ ტეილორი თავის ძვირფასეულობაზე.

„ჰოლივუდის დედოფლის“ სიკვდილის შემდგომ იმისეული კოლექცია „კრისტის“ სახელწოდების აუქციონით ნიუ-იორკში 116 მილიონ დოლარად გაიყიდა. ამოგებული ფულის ნახევარი ელისაბედ ტეილორის საქველმოქმედო ფონდს გადაეცა.

ელისაბედს უყვარდა თქმა – „მე თავი ამ განძის მფლობელად კი არა, მცველად მიმაჩნია, ხოლო ჩემს ყველაზე მთავარ განძს თან წარვიტან, რადგან ეს ჩემი ცხოვრებაა...“

რიჩარდ ბარტონი ამბობდა, ერთადერთი იტალიური სიტყვა, რომელიც ელისაბედმა იცოდა, ეს იყო „Bvlgari“. წიგნში – „ჩემი რომანი ძვირფასეულობასთან“ ელისაბედი წერდა: „რა თქმა უნდა, რომში ცნობილ „კლეოპატრაზე“ მუშაობის ერთი ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი უპირატესობა მაღაზია „Bvlgari“ იყო, მე მუდმივად მივდიოდი იქ ნასადილევს და მე და რიჩარდი ათას რასმე სისულელეს ჩავდიოდით“.

რიჩარდ ბარტონი კი სარკაზმით აღნიშნავდა ცოლთან ერთად რომში გატარებულ იმ პერიოდს: „მე ელისაბედს ლუდი გავაცანი, იმან კი, თავის მხრივ, „Bvlgari“ გამაცნო.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №31-32, 35, 37-39

„აქცენტმა“ უკვე არაერთგზის შესთავაზა მკითხველს მასალები, რომელიც საქართველოსთვის ანაკლიის პორტის პროექტის მნიშვნელობას წარმოაჩენს. დღეს გვსურს, ამ პროექტის კიდევ ერთ ასპექტზე გავამახვილოთ ყურადღება — იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პროექტის წარმატებით განხორციელებას ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივისთვის.

ამ თემაზე დღეს ქართველი და უცხოელი ექსპერტების მოსაზრებებს გთავაზობთ.

ევროპაში ამერიკის არმიის ყოფილი მთავარსარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ბენ ჰოჯესი:

NATO-მ დაადასტურა თავისი რეპუტაცია, როგორც ყველაზე წარმატებულმა ალიანსმა ისტორიაში, როგორც სტრუქტურამ, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, არის კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაცია და არსებობს მიზეზები, რომელთა გამოც ქვეყნები ამ ალიანსში გაწევრიანებისკენ ისწრაფვიან. ავიღოთ, მაგალითად, ჩერნოგორია: მას ადრიატიკის ზღვაში ძალიან მნიშვნელოვანი პორტი აქვს, რომელიც რუსეთს ძალიან უნდოდა, მაგრამ ჩერნოგორია წინააღმდეგობას სწევდა... თუ ეს ქვეყანა ალიანსის წევრი გახდება, ეს ნიშნავს, რომ რუსეთი ვეღარასოდეს გამოიყენებს ამ ტერიტორიას ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ... რაც შეეხება საქართველოს, ეს ქვეყანა უკვე დღეს უნდა იყოს NATO-ს წევრობის გზაზე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს მისი ტერიტორიების 20% დღემდე აქვს ოკუპირებული. თავის დროზე ჩვენ მივიღეთ ალიანსში დასავლეთ გერმანია, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში იმხანად მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი იდგა. ვფიქრობ, ჩვენ მოვძებნით ხერხს, რათა ალიანსში საქართველოც გავაწევრიანოთ. საქართველოში უკვე არსებობს პორტი ევრაზიასა და ევროპას შორის, ხოლო ანაკლიის ახალი პორტის მშენებლობის დასრულების შემდეგ საქართველო გახდება ძალიან მნიშვნელოვანი დამაკავშრებელი რგოლი ევრაზიასა და ევროპას შორის. მე ვთვლი, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ამაღლებს უსაფრთხოებას, რადგან ყველას აქვს საერთო ინტერესი ამ პორტის მიმართ; ყველა დაინტერესებულია იმით, რომ საქართველო იყოს საპორტო ქვეყანა და რჩებოდეს სტაბილურად და ღიად. ეს აამაღლებს საქართველოს უსაფრთხოებას და შექმნის მნიშვნელოვან საპირწონეს შავი ზღვის რეგიონში. უდავოა, რომ NATO მომავალშიც გააგრძელებს გაფართოებას, ჩვენ ვალდებულები ვართ, გავფართოვდეთ!..

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის ყოფილი მრჩეველი, ანალიტიკოსი, ევრაზიის ქვეყნების დამოუკიდებელი მკვლევარი პოლ გოგლი:

ამ (ბათუმისა და ანაკლიის) პორტების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია სამი მიზეზის გამო: პირველი, ეს ქართულ კომპანიებს უფრო მეტი ექსპორტის განხორციელებისკენ გაუხსნის გზას; ეს პორტები საქართველოს საშუალებას მისცემს, უფრო დიდი როლი შეასრულოს აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის სხვადასხვა სახის ვაჭრობაში; ამ პროექტების განხორციელება საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

* * *

კარნეგის ფონდის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების უფროსი სპეციალისტი პოლ სტრონსკი:

„ამ პროექტების (ბათუმისა და ანაკლიის პორტები) განხორციელება გაუმჯობესებს საქართველოს პერსპექტივას, გახდეს რეგიონული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ცენტრი და დამატებით მოიზიდოს ინვესტორები, რომელთაც სურთ კავშირების დამყარება კასპიის ზღვის რეგიონიდან და ცენტრალური აზიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით და შავი ზღვიდან სპარსეთის ყურისკენ.

გარდა ამისა, ამ პროექტებს აქვთ პოტენციალი, მოიზიდონ უფრო მეტი ჩინური ინვესტიცია. ცნობილია, რომ ჩინელებს აქვთ დიდი ამბიციები „ერთი სარტყელი — ერთი გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებით. ხსენებული პროექტები რეგიონს ჩინელი ინვესტორებისთვის სავარაუდოდ, უფრო მიმზიდველს გახდის. აშშ-ის გარდა, საქართველომ უნდა იმუშაოს სხვა ქვეყნებთანაც, რომელთაც შეუძლიათ, გაზარდონ ქვეყნის უსაფრთხოება ნატოსა და აშშ-სთან ერთად. სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების გაღრმავება ჩინეთთან და ყურის ქვეყნებთან, სულ მცირე, რაღაც ფასს დაუწესებდა რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ შესაძლო აგრესიის შემთხვევაში, რადგან ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთი ძალიან დამოკიდებულია ჩინეთზე და ნაკლებად დამოკიდებული — ყურის ქვეყნებზე.

ამგვარად, ეკონომიკას შეუძლია, დაეხმაროს უსაფრთხოებას. ვფიქრობ, საქართველოს გრძელვადიანი უსაფრთხოება ამ ყველა ასპექტს აერთიანებს“...

* * *

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი ეკა აკობია:

დღემდე რუსეთი საქართველოს საკუთარ უკანა ეზოდ განიხილავს, სადაც არავინ უნდა შევიდეს. რაც უფრო მეტი დიდი მოთამაშე იქნება დაინტერესებული საქართველოს სატრანზიტო ფუნქციით, ამით არა მარტო მეტ ეკონომიკურ დივიდენდს მივიღებთ, არამედ განმტკიცდება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარეშოც. თუ ჩინური, ინდური, პაკისტანური, ვიეტნამური კომპანიები საქართველოზე ტრანზიტის შეუფერხებლად გატარებაში ნახავენ საკუთარ ინტერესს, თუ რევერსული ტრანზიტით დაინტერესდებიან ევროპული კომპანიები, ჩვენ ვიღაცის „უკანა ეზო“ კი არა, მნიშვნელოვანი დერეფანი ვიქნებით და რუსეთი ჩვენთან დესტაბილიზაციის მოწყობას ვერ გაბედავს. შესაბამისად, გაიზრდება ჩვენი თავისუფლების ხარისხი. ამ როლის სრულყოფილად რეალიზაცია ქვეყნის ეროვნული ინტერესია და მასზე ბევრი მუშაობა გვმართებს. ჩვენი ამოცანაა, დავაინტერესოთ მსხვილი სავაჭრო პარტნიორები აღმოსავლეთით — ჩინეთი, ვიეტნამი, ინდოეთი, პაკისტანი, ირანი, ამავდროულად ვიყოთ საიმედო გამტარი და რევერსული მიმართულება ევროპის ქვეყნებისთვის, ანუ, ქმედითი კონკურენცია გავუწიოთ ჩრდილოეთის მარშრუტს. ამასთან, აღმოსავლეთით ჩვენი ჩართულობა აუცილებლად უნდა ხდებოდეს ჩვენი ევროპული ინტეგრაციის ამოცანების ჭრილში და ნიუანსობრივად ვაკვირდებოდეთ საერთაშორისო გარემოს.

* * *

ნატოსა და ევროკავშირის ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი, PMCG-ს წარმომადგენელი აშშ-ში ელენე გოცაძე:

ანაკლიის პორტი ჩვენი პარტნიორებისთვის საინტერესო იქნება სამხედრო ტვირთების გამტარობის თვალსაზრისითაც, რაც კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს ჩვენი ქვეყნის მიმართ. პარალელურად შესაბამისი უწყებები მუშაობენ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზეც და ეს ყველაფერი საქართველოს სრულიად ახალ შესაძლებლობებს წარმოაჩენს. მსგავსი მეგაპროექტები აუცილებლად შექმნის ახალ სერვისებს და ახალ შესაძლებლობებს. ის, რომ აქამდე ჩვენ ვერ ვიღებდით დიდი ტევადობის გემებს, ქმნიდა ბევრ შეზღუდვას. მომავალში ანაკლიის პორტმა უნდა შექმნას ახალი რეალობა, რაც ახალ ტვირთებსაც გულისხმობს. რესურსებით მდიდარი ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ტვირთბრუნვა გაცილებით უნდა გაიზარდოს და ამ ახალმა რეალობამ საქართველოს სატრანსპორტო ჰაბად ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხო და სტაბილური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტი და შავ ზღვაზე სტრატეგიული პოზიციის დაკავების რეალური შესაძლებლობა.

რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება საქართველოს მთავრობამ:

ანაკლიის პორტის პროექტის წარმატებული რეალიზება მარტივი ამოცანა არ არის და მთელ რიგ წინაღობებს აწყდება, მათ შორის უპირველესად — ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან. ამდენად, პროექტის წარმატებისთვის საქართველოს მთავრობას არაერთი ამოცანის გადაჭრა მოუწევს. ამ მხრივ არსებულ გამოწვევებზე დეტალურად გვესაუბრა ეკა აკობია: „ანაკლიის პორტის აშენების მიზაშეწონილობაზე ბევრი თქმულა, ხოლო თუ მოკლედ შევაჯამებთ, სტრატეგიული უპირატესობა, რაც ამ ახალი სატრანზიტო ინფრასტრუქტურით უნდა მოვიპოვოთ, არის შემდეგი: „პანამაქსის“ ტიპის დიდი გემების მიღების შესაძლებლობა, რომლებიც გაცილებით მეტ კონტეინერს იტევენ, ვიდრე ფოთის პორტში შემომავალი მცირე გემები; ადგილზე მომსახურების ეფექტური ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც რეგიონის სხვა საპორტო მომსახურებას კონკურენციას გაუწევს ტექნოლოგიური თვალსაზრისით, იქნება უფრო მოქნილი და სწრაფი, გამჭვირვალე და კონკურენტული ფასების კუთხით; წლის ნებისმიერ პერიოდში იქნება ღია, ირგვლივ კი განთავსდება თანამედროვე საწყობები და ტვირთების სწრაფი მიწოდების ინფრასტრუქტურა. ამ ყველაფრის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ევალება „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“, რომელმაც სახელმწიფო ტენდერში გაიმარჯვა. მის ეფექტურ და დროულ მუშაობაზეა დამოკიდებული ანაკლიის პროექტის შესაბამის ვადებში განხორციელება“.

იმისათვის, რომ პორტებმა თვისობრივად ახალი მნიშვნელობა შეიძინონ, საჭიროა კოორდინირებული და ინტენსიური მუშაობა სხვა მიმართულებებითაც: მთავრობამ ერთიანი მიდგომით — ეკონომიკის, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკების კოორდინირებული მუშაობით ძალიან აქტიურად უნდა იმუშაოს ტრანზიტის როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის და შუა რგოლის პარტნიორებთან, ვინაიდან გაზრდილი ტვირთბრუნვის გარეშე ამ თანამედროვე და ძვირადღირებულ ინფრასტრუქტურას აზრი ეკარგება.

მსგავსი პროექტების განხორციელება ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტია. ამერიკული და ჰოლანდიური კომპანიების ჩართულობა, უპირველეს ყოვლისა, ხარისხის, საიმედოობის და სტაბილურობის გარანტიაა. მაგრამ ყველა ეს ღირებულება ამართლებს და ეფექტურია, როცა გარემოც შესაფერისი ხვდება. ამიტომაც აუცილებელია, გვქონდეს გამჭირვალე და ქმედითი სასამართლო სისტემა, რომ ინვესტორს ჰქონდეს დაცულობის შეგრძნება; ამგვარ სიმბიოზს თუ მივაღწევთ, ეს კიდევ ერთი გარანტია იქნება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.

ამ პროექტების წარმატება მოცემულობა კი არ არის, პერსპექტივაა, რომლის რეალიზაციისთვის გვჭირდება სერიოზული მუშაობა „ერთიანი მთავრობის მიდგომის“ პრინციპით. არსებული პორტები უკვე შესაძლებლობის მაქსიმუმზე მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა სეზონური აქვთ და ფასები არ არის კონკურენტული. ამიტომ პორტების მშენებლობა ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, მით უფრო, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში უფრო მეტად შეგვიძლია აღმოსავლეთიდან ტვირთის მოზიდვა, პორტის მიმდებარედ მრეწველობის განვითარება და ევროსტანდარტების შესაბამისი პროდუქციის უკვე ქართული ბრენდით ევროკავშირის ბაზარზე გატანა.

ანაკლიის პორტის წარმატება მოცემულობა კი არ არის, პერსპექტივაა, რომლის რეალიზაციისთვის გვჭირდება სერიოზული მუშაობა „ერთიანი მთავრობის მიდგომის“ პრინციპით...

იტალიის შს მინისტრს კრემლთან გარიგებაში ადანაშაულებენ

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრს მატეო სალვინს, ოპოზიცია კრემლთან გარიგებაში ადანაშაულებს. გამოცემა „ესპრესო“ კი წერს, რომ 2018 წელს მატეო სალვინი მისი პარტიის დაფინანსებაზე მოლაპარაკებას მოსკოვთან აწარმოებდა.

საუბარია რამდენიმე მილიონ ევროზე, რაც სალვინის მემარჯვენე პოპულისტურ პარტიას ევროპარლამენტში მოსახვედრად საარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის სჭირდება.

არჩევნები ევროპარლამენტში 2019 წლის მაისშია დაგეგმილი. გაზეთის ინფორმაციით, თანხის მოპოვებას იტალიელი მაღალჩინოსანი კრემლთან დაახლოებული იურიდიული პირების შუამავლობით ცდილობდა.

ბანკის ვალებს ჩამოაწერენ

არაბეთის გაერთიანებული საამიროების ხელისუფლება აცხადებს, რომ იგი აწარმოებს მოლაპარაკებას 13 ბანკთან, ქვეყნის მოსახლეობისთვის საერთო ჯამში 98 მლნ აშშ დოლარის ვალი ჩამოაწერონ. მთავრობის განცხადებით, გადაწყვეტილების მიზანია, რომ გაერთიანებულ ემირატებში ცხოვრების ღირსეული დონე ყველა მოქალაქეს ჰქონდეს და დაცული იყოს სოციალური სტაბილურობა. 2017 წლამდე ქვეყანაში გადასახადების დამალვა და ვალის არ დაბრუნება სისხლის სამართლის დანაშაული იყო. ახლა კანონმდებლობა შეცვალეს და ასეთ ინციდენტზე ფინანსური სანქციებია დაწესებული.

მამუკა გიორგაძე: დეკანოზი მამალაძე

მხოლოდ საბაბია, რომ ეკლესიის წინააღმდეგ ახალი ტალღა ააგორონ!

გრძელდება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული აღვირახსნილი კამპანია, რომლის მიზანია საქართველოს საპატრიარქოს დისკრედიტაცია – კერძოდ, სამღვდელოებასა და მრევლს შორის ბზარის გაჩენა, საზოგადოებისა და ეკლესიის დაპირისპირება.

რაც დრო გადის, კიდევ უფრო ხშირდება ტყუილი, ლანძღვა, ბეზღობა, შანტაჟის მცდელობები. სიტუაცია გამოდის რეალისტური ჩარჩოებიდან და სულ უფრო ემსგავსება ერთიანი ანტისახელმწიფოებრივი სპეცოპერაციის მრავალმოქმედებიან აბსურდის თეატრს, სადაც ბოლო პერიოდში, **„უკრაინის ავტოკეფალიის სასწრაფო და უპირობო აღიარების“ უნიჭო და უაზრო პერფორმანსი „ციანიდის საქმის“ ახალმა აქტმა ჩაანაცვლა, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე მიზანსცენას მოიცავს. მთავარი აქტორები კვლავ ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლი „ძველი და ნაცადი“ სახეებია!**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის მიერ დაჭერილი პაუზის მიზანშეწონილება არავითარ ეჭვს არ ბადებდა, ძალზე მკაფიოდ გამოიხატა ყვლასთვის ცნობილი ძალების მცდელობა, აეძულებინათ საპატრიარქო ნაჩქარევი, მოუმზადებელი ნაბიჯების გადადგმისკენ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საქართველოს ეკლესია დაადანაშაულეს არა მხოლოდ სახელმწიფო ინტერესების ღალატში, არამედ, სქიზმისკენ გადახრაშიც კი. თუმცა ეს პროვოკაციულ-ცანცარული მცდელობები სულ მალე გაიშიფრა, ვინაიდან გაცხადდა, რომ საქართველოს საპატრიარქო თავის ღრმად დიპლომატიური პოზიციით, სხვა ავტოკეფალიურ ეკლესიებთან ერთად, უმრავლესობაში იყო და თავად კონსტანტინეპოლისა და უკრაინის ეკლესიებში მიიჩნიეს ჩვენი ეკლესიის მოსაზრება ლოგიკურ და ბუნებრივ პოზიციად.

თუმცა, უკრაინის ეკლესიის ბედი ამ ხალხს საერთოდ არ ანაღვლებს. ისინი ყველა ხელმისაწვდომ საშუალებას ეძებენ საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. საბაბის პოვნას რა უნდა, მით უმეტეს, რომ არსებობს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ შეგნებულად არაჯეროვნად გამოძიებული ე.წ ციანიდის საქმე და იერიშებიც დედაეკლესიაზე მეტი მუხანათობით განახლდა!

რაოდენ აბსურდულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სწორედ სასჯელმისჯილი მღვდელმსახურის „ზიარების“ აქციის ფორმით მოთხოვნა, მათ შორის, თავისი ათეისტური განწყობებით ცნობილი პირების მხრიდან, გახდა ახალი ანტიეკლესიური ტალღის მასტიმულირებელი.

შესაბამისად, გააქტიურდნენ ეკლესიის შიგნიდან და გარედან მისი განადგურების მსურველები. **დეკანოზ მამალაძის ეკლესიის „მამხილებელი“ მითიური წერილები ციხიდან, პატრიარქის ნათესავების უსაფუძვლო ბრალდება, ცილისწამება და შეურაცხყოფა „მუხტის ასაწევად“ გამოიყენეს: არ მორიდებიან პატრიარქის დის მიმართ სიცრუის ტირაჟირებას, დიდუბის ტაძრის იკონომოსი, მონაზონი დედა ნატალია „გავლენიან ბიზნესმენად“ გამოაცხადეს და, რა თქმა უნდა, არც მეუფე დიმიტრი „დავიწყებიათ“ – მორიგი ტალახი მასაც ესროლეს (მისი მაღალი ავტორიტეტი მავანს მოსვენებას არ აძლევს).**

ნიშანდობლივია, რომ დეკანოზ მამალაძის ზიარების შემდეგ ეკლესიაზე შეტევა ახალი, არანაკლებ უტიფარი მოთხოვნით გაგრძელდა. კერძოდ, დეკანოზის ჯანმრთელობის გაუარესების ისტერიის განვითარების ფონზე საქართველოს პატრიარქს წაუყენეს მოთხოვნა, მიმართოს საქართველოს ხელისუფლებას მამალაძის შეწყალების მოთხოვნით (როცა დასჭირდათ, აღიარეს მისი უწმინდესობის შეუბღალავი ავტორიტეტი და მისი სიტყვის ძალა). მართალია, შეეძლოთ, არ „დავიწყნოდათ“ მცირე დეტალი – საქართველოს კანონმდებლობა მძიმე ჯანმრთელობის გამო ვადამდე გათავისუფლების პროცედურის დაწყებას ითვალისწინებს, მაგრამ მათ დეკანოზი მამალაძისთვის ეკლესიისგან დევნილ-წამებულის იმიჯის შექმნა სჭირდებოდათ!

ძნელია გამოიცნო, ესმით თუ არა ამნაირი მოთხოვნის ავტორებს, რომ შეწყალება მხოლოდ დამნაშავის შეიძლება, ხოლო, ვისაც მიაჩნია, რომ ტყუილად ზის ციხეში, ის გამართლებისთვის უნდა იბრძოდეს. სწორი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში კი ეკლესია, მრევლი და საზოგადოებაც დაუჭერდა მხარს. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ სხვა აირჩიეს (როგორც ჩანს, შეკვეთა ასეთია!).

დეკანოზ მამალაძის დაცვისა და მომხრეების ქმედებების საეჭვო არათანმიმდევრულობა ნათელს ფენს იმ გარემოებას, რომ ისინი დაცვაზე მეტად ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებს ემსახურება. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ „ციანიდის“ საქმე თავიდანვე ეკლესიის დისკრედიტაციის მიზნით იყო შეთხზული. ხელისუფლების დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის ფონზე ამ ძალებს ექმნება დეკანოზ მამალაძით მანიპულირების შესაძლებლობა (ხვდება თუ არა ამას თვითონ დეკანოზი, ჩვენთვის უცნობია).

საქართველოს სახლხო პარტია ეკლესიაზე გახშირებულ თავდასხმებს პირველად არ ეხმაურება. იმთავითვე ცხადი იყო, რომ საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული ლაშქრობა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ გაშლილი ფრონტის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

> დღესაც, საქართველოს ხელისუფლების ამორფულობის, პოლიტიკური ძალების სისუსტისა და საზოგადოების დეზორგანიზებულობის პირობებში საქართველოს ეკლესია გვევლინება ერთადერთ ინსტიტუტად, რომელსაც შეუძლია საქართველოს ინტერესების სრულფასოვანი დაცვა. ეკლესიის ავტორიტეტი, მის მიმართ ნდობა და მაღალი საზოგადოებრივი რეიტინგი ის საფუძველია, რაც მას მტრული თავდასხმების მთავარ ობიექტად აქცევს. სწორედ ეკლესია წარმოადგენს იმ საფრთხეს, რომელიც შიშის ზარს სცემს საქართველოს მტრებს და აიძულებს მათ საკუთარი თავის გამომააშკარავებელ და დამღუპველ ნაბიჯებზე წასვლას.
>
> კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს მთელ მოსახლეობას, სასულიერო პირებსა და მრევლს, ყველას, ვინც სიღრმისეულად აცნობიერებს შექმნილი ვითარების უკიდურესობას, ნუ ჩავათრევინებთ საკუთარ თავს ბინძურ კამპანიაში!

ნუ ვიქნებით მოვლენებზე უმოქმედო დამკვირვებლები, ვიყოთ აქტიური მოქალაქეები!

ჩვენი პასიურობით ნუ შევუწყობთ ხელს იმ ილუზიის შექმნას, რომ თითქოს მათ შეუძლიათ ისე მოეპყრონ საქართველოს ეკლესიას და ქართველ ხალხს, როგორც თავად მოესურვებათ.

იცოდეთ, ამაზე ყველა უმკაცრესად აგებთ პასუხს!

ქართველ ხელოვანთა ნამუშევრებს ვენეცია უმასპინძლებს

30 მარტს ვენეციაში „Palazzo Zenobio“-ში გაიხსნება ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, „ბიენალე“.

გახსნაზე მიწვეულნი იქნებიან იტალიაში საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს წარმომადგენლები, აგრეთვე ვენეციის მერი და იტალიის ხელოვნებათმცოდნენი. გამოფენა გასტანს ერთ თვეს.

გამოფენის ორგანიზატორები, ნატო დუმბაძე და მანანა გრატიაშვილი, კურატორი, კრიტიკოსი ხელოვნების დარგში, პროფესორი GIORGIO GRASSO.

დომენიკ პარსელი საქართველოში

ამერიკული **მაღალრეიტინგული ტელესერიალის „Prison Break“-ის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა დომენიკ პარსელმა საქართველოში იმოგზაურა. პოპულარულ ავსტრალიელ მსახიობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი შეხვდა.**

დომენიკ პარსელს მარიამ ქვრივიშვილმა თბილისის ისტორიული უბნები აჩვენა და საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ესაუბრა. დომენიკ პარსელს Instagram-ზე 1.3 მილიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს.

„დომენიკ პარსელი საქართველოდან ძალიან პოზიტიური ემოციით დატვირთული მიდის, მას ძალიან მოსწონს საქართველო. გამგზავრების შემდეგ ვფიქრობ, ის ისაუბრებს იმ დადებითი ემოციების შესახებ, რომელიც მან საქართველოში მოგზაურობისას მიიღო“, – განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა.

მშვენიერი სქესის კიდევ ერთი უპირატესობა

ამერიკელი **მეცნიერები აცხადებენ, რომ მამაკაცებთან შედარებით, ქალები ბუნებრივად უფრო კარგ ფორმაში არიან. ამ გარემოებას ქალის ორგანიზმის მიერ ჟანგბადის გაცილებით სწრაფად შთანთქმის უნარი განაპირობებს: მანდილოსნებში ეს პროცესი მამაკაცებისაზე 30 პროცენტით უფრო ეფექტიანია.**

ექსპერიმენტის დროს მოხალისეები ზომიერი დატვირთვის ტესტს – ბილიკზე სირბილს ასრულებდნენ, რა დროსაც მეცნიერები ქსოვილებში ჟანგბადის შემცველობის, ვენებსა და არტერიებში მისი დონის განსხვავებას, ასევე გულისცემის სიხშირეს აფასებდნენ. აღმოჩნდა, რომ ვარჯიშის დროს ქალების ქსოვილებში ჟანგბადი უფრო სწრაფად აღწევდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალბატონებს კუნთები უფრო ნაკლებად ეღლებათ. ამდენად, იქნებ აზრი ჰქონდეს მათთვის სავარჯიშო რეჟიმის გადახედვას.

„სითხის დეპო“

ზოგიერთ მარტივ ყოველდღიურ ჩვევას თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაც შეუძლია და სიცოცხლის გახანგრძლივებაც. მაგალითად, ყოველი დღის დაწყება ჭიქა წყლით.

ეს ქმედება ორგანიზმში ეგრეთ წოდებული „სითხის დეპოს“ შექმნაში დაგეხმარებათ, რომლიდანაც ორგანიზმი, საჭიროების შემთხვევაში, სითხის მიღებას შეძლებს. დღის განმავლობაში „წყლის მარაგის“ შევსებაც არ უნდა დაგავიწყდეთ.

სითხის დახმარებით სხეულის უჯრედებში ვიტამინები და მიკროელემენტები ხვდება, წყალი საჭიროა ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემების მწყობრი მუშაობისთვის, იგი მალებშუა დისკოებსა და სახსრებს კვებავს, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ **მეცნიერები წყალს ახალგაზრდობის წყაროდ მიიჩნევენ!** მათი აზრით, სიბერე უჯრედებში სითხის დეფიციტთან პირდაპირაა დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ ასაკის მატებასთან ერთად სითხის ოდენობა ორგანიზმში იკლებს, წყურვილის შეგრძნებაც სუსტდება და ორგანიზმი „გამოშრობას“ იწყებს.

ხალიჩის მილმა

მოვუფრთხილდეთ ჩემპიონს!

ჭიდაობის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე 11 იანვრის ინციდენტი განიხილეს და ფედერაციის პრეზიდენტი გეგა გეგეშიძე პოსტზე დატოვეს.

ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ მთავარმა ფიგურანტმა, ევროპის ორგზის ჩემპიონმა ზურაბ დათუნაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საკუთარი პოზიციის ურყევობა და სამშობლოს დატოვების მიზნით განთავისუფლების ფურცელზე ხელმოწერის თხოვნით ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს მიმართა, მაგრამ მისმა თავკაცმა ლერი ხაბელოვმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ასეთ ნაბიჯს როგორ გადავდგამ, ამით ხომ ჩვენი ნაკრების შესაბამისი წონის მომავალ ლიდერ რობერტ კობლიაშვილს გალეგიონერებული თანამემამულის სახით მრისხანე მეტოქე გაუჩნდებაო.

ერთი შეხედვით, რკინის ლოგიკაა, მაგრამ ნუთუ ასეთი განცხადებით საბოლოოდ შეველიეთ ამბოხებულ ფალავანს და ამოვწურეთ მისი შესანარჩუნებელი რესურსი?! თანაც, როგორც შევიტყვეთ, შეკრებილთა შორის არ ყოფილან საჭიდაო ოჯახის მთელი რიგი თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა ძალისხმევითაც, დარწმუნებულნი ვართ, მოხერხდება ჩიხიდან გამოსვლა.

მოკლედ, გაგრძელება იქნება.

კობა კობახიძე

ჭიდაობა

ბოლქვაძეთა დუბლი

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ქართველმა ფალავნებმა უნგრული დიორის სარეიტინგო საერთაშორისო ტურნირში მოსინჯეს ძალები. ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენებმა 2 ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს: 72 კილოგრამ წონით კატეგორიაში ორი ჩვენებური გამოდიოდა — ოლიმპიური პრიზიორი შმაგი ბოლქვაძე და საქართველოს ჩემპიონი საჩინო დავითაია. ბოლქვაძემ ფინალამდე გერმანელი ვიდმაიერი (3:0), უნგრელები — ტოტი (7:0) და კოზაკი (9:0) დაამარცხა, დავითაიამ კი ორი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან — ირანელ ალირეზა აგანიაჩარი (7:0) და თურქი სელჩუკ ჩანი (2:0), მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში ნეკნის ტრავმის გამო ბოლქვაძეს არ გამოუცხადდა და მე-2 ადგილს დასჯერდა.

82 კილოში ახალგაზრდებსა და 23-წლამდელთა შორის მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონმა გელა ბოლქვაძემ ზედიზედ დაამარცხა ხორვატი საჩიჩი (2:1), თურქი აკბუდაკი (3:1), უზბეკი ბერდიმურატოვი (5:1), დანიის სახელით მოასპარეზე ბისულტანოვი (7:1) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ლაშა დიდია

ჭიდაობა

„ბრინჯაოებს“ დასჯერდნენ

გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გამართული ძიუდოისტთა დიდი სლემის ბრინჯაოს მედლები ლუხუმ ჩხვიმიანმა (60 კგ) და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) მოიპოვეს.

ჩხვიმიანმა ჯერ სირიელ მოჰამად აკაშს და აზერბაიჯანელ დავუდ მამადსოის აჯობა იპონით, შემდეგ საფრანგეთის სახელით მოასპარეზე ლუკა მხეიძეს მოუგო დამატებით დროში, ნახევარფინალი რუსეთის ნაკრების წევრ რობერტ მშვიდობაძესთან დათმო, დამამშვიდებელში კი სამხრეთკორეელ ჰარიმ ლის მიაღებინა სამი გაფრთხილება და მესამე ადგილზე გავიდა.

შავდათუაშვილი ტურნირში მე-2 წრიდან ჩაება: ჩეხ იაკუბ იეჩმინეკს იპონით, სამხრეთკორეელ ჰეონჩეოლ კანგს კი ვაზარით აჯობა, მეოთხედფინალში თავად წააგო რუს მუსა მოგუშკოვთან, რეპეშაჟში გერმანელი ანტონი ზინგი, ტაჯიკი სომონ მახმადბეკოვი დაჯაბნა და „ბრინჯაო“ ერგო.

ტაბლო

კიკბოქსინგი

შანხაი (ჩინეთი). მსოფლიოს ჩემპიონატი. 70 კგ. ფინალი. დავით ქირია (საქართველო) — მარუან ტუტოჰი (მაროკო/ჰოლანდია) 29:29, 28:29, 30:29, 30:27, 30:29. მანამდე ჩვენმა თანამემამულემ ხუთრაუნდიანი ნახევარფინალური ბრძოლა მასპინძელ ფენ სინგლის მოუგო და მესამედ მოიპოვა უმაღლესი ტიტული.

ფეხბურთი

გორი. საქართველოს სუპერთასი. „ტორპედო“ — „საბურთალო“ 1:0. გოლი. გიგაური (70-ე წუთი). ქუთაისელები ზედიზედ მეორედ დაეუფლნენ საპატიო თასს.

ლონდონი. ინგლისის ლიგის თასის ფინალი. „სიტი“ — „ჩელსი“ 0:0 (პენალტებით 4:3). მანჩესტერელებმა შეინარჩუნეს შარშანდელი წოდება, მათმა თავკაცმა პეპ გვარდიოლამ კი სამწვრთნელო კარიერაში 25-ე ჯილდო მოიპოვა.

ფარიკაობა

ბაზაძე მესამეა

ევროპის ჩემპიონატების ორგზის მესამე პრიზიორმა სანდრო ბაზაძემ კაიროში გამართულ მოხმალავეთა გრან-პრიზე ისტორიულ წარმატებას მიაღწია — ქართული ფარიკაობის მატიანეში პირველად მსგავსი ასპარეზობის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა: ჯგუფში მან ექვს მეტოქეს დამაჯერებლად სძლია: დაამარცხა ჯეისუნ იუნგი (კორეა, 5:4), ჰექტორ ფლორენსია (მექსიკა, 5:3), იუსეფ მუსა (ეგვიპტე, 5:1), რიკარდო ნუჩიო (იტალია, 5:2), უილიამ დირი (დიდი ბრიტანეთი, 5:2), პაბლო ტროჩეზი (კოლუმბია, 5:3) და პლეი-ოფში ქულათა მაქსიმალური რაოდენობით გავიდა. იქ ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან სახელოვანი მუშკეტერები: ინდივიდუალურში 2017 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, გუნდურში მსგავსი შეჯიბრებების ორ-ორგზის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი ანდრეას სატმარი (უნგრეთი, 15:8), კორეელი კიეჰვან კიმი — 15:13, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი, პანამერიკული თამაშებისა და ჩემპიონატების ორ-ორგზის გამარჯვებული, ამჟამინდელი მსოფლიოს კლასიფიკაციით პირველ ადგილზე მყოფი ელი დერშვიცი (აშშ, 15:12) და ნახევარფინალში გავიდა, რაც ქართული ფარიკაობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. იქ კი ინდივიდუალურში ლონდონისა და რიოს ოლიმპიადების ჩემპიონს, გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონატების ოქროს, 2 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედლის მფლობელს, ევროპის პირველობების ერთი ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალოსანს, 29 წლის უნგრელ არონ სილადის სათანადო მეტოქეობა ვერ გაუწია — 5:15 დამარცხდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

დანარჩენ ქართველთა მონაგარი ასეთია: 28. მიხეილ მარდალეიშვილი, 61. ბექა ბაზაძე, 68. საბა სულამანიძე. კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. სანგუკ ოჰი (კორეა), 2. არონ სილადი, 3. სანდრო ბაზაძე და იუნჰო კიმი (კორეა). ქალებში ევროპის 2017 წლის ჩემპიონი თეოდორა კახიანი 57-ე ადგილით დაკმაყოფილდა. ქართველი მოხმალავე ვაჟები 7-9 მარტს იტალიურ პადოვაში მსოფლიოს თასის პირად-გუნდურ გათამაშებაში მოსინჯავენ ძალებს.

ლეძსო ცინცაძე

ჩოგბურთი

ფინალში დამარცხდა

გლაზგოში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იან საერთაშორისო ტურნირში თბილისელმა მარიამ ბოლქვაძემ მეორე ადგილი დაიკავა: სტარტზე მან ჰოლანდიელი სინდი ბურგერი დაამარცხა, ხოლო შემდეგ თან არმონის (საფრანგეთი) სძლია სამ სეტში — 6:4, 2:6, 7:6.

მარიამმა მეოთხედფინალში კვალიფიკაციიდან აღზევებულ ესპანელს — ნურია პარიზას-დიასს აჯობა — 6:4, 6:1, მერე კი მის გზას რუსი ვალერია სავინიხი გაუყენა — 7:5, 6:4. ფინალში ქართველმა ჩოგბურთელმა (რეიტინგით 312-ე) ფრანგ ჯესიკა პონჩეს (229-ე) ვერ გაუწია სათანადო მეტოქეობა და ორ სეტში 3:6, 1:6 დამარცხდა.

თამაზ პატარიძე

კალათბურთი

სუპერლიგა სუპერია?!

მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ორი მარცხით დაასრულა, ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავა და ფინალურ ტურნირს მიღმა დარჩა.

თუ ჩვენი სექსტეტის გამარჯვებულ საბერძნეთთან სტუმრად მარცხს ასე თუ ისე შეგუებულნი ვიყავით — 69:81, შინ აუტსაიდერ ესტონეთთან წაგება — 77:84 ძნელად სავარაუდო იყო, თუმცა, სენსაციას ვერ ვუწოდებთ — ბალტიისპირული საკალათბურთო სკოლის ფაქტორის გარდა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თბილისში ჩამოსვლამდე სამი დღით ადრე ტიიტ სოკის გუნდმა შინ თვით სერბეთი დასცა — 71:70.

სხვათა შორის, ამ ძლევაი საკვირველის შემომქმედთაგან ხუთი ვეტერანი სტუმართა თავკაცმა სამშობლოში დატოვა და ახალგაზრდებს ენდო, რომლებმაც ივაჟკაცეს კიდეც — სარბიელზე გამოსულთაგან წარმატებაში წვლილი ყველამ შეიტანა მაშინ, როცა ილიას ზუროსის შეგირდთაგან ქულები განაცხადში შეყვანილთა მხოლოდ ნახევარმა მოაგროვა.

დაგვეთახმებით, ეს თვალნათლივ მეტყველებს ჩვენი სუპერლიგის სისუსტეზე, საიდანაც „ჯვაროსნებმა“ არასრულფასოვანი შევსება ლეგიონერთა უმეტესობის არყოფნაში მიიღეს. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო იგრძნობოდა ელადაში, სადაც იქაური უმაღლესი ლიგის წარმომადგენლებმა უმოწყალოდ დაგვიბომბეს კალათი.

ვიტალი ჯაფარიძე

პატარა ქვეყნების გამდიდრების 10 ყველაზე უცნაური საშუალება

პატარა ქვეყნებს, რომელთა მოსახლეობაც არ აღემატება რამდენიმე ათეულათას კაცს, ძალიან უჭირთ თანამედროვე სამყაროში —მათ არ გააჩნიათ ძლიერი საექსპორტო ინდუსტრია და ხშირად იძულებულები არიან, მიმართონ სხვადასხვა ხრიკს ვალუტის მოსაზიდად. აი, რამდენიმე მაგალითი.

1. სენ-კიტს და ნევისი, მოსახლეობა — 48 000 კაცი, მოქალაქეობით ვაჭრობა

2006 წელს ეს ქვეყანა განიცდიდა ეკონომიკის მთავარი დარგის — შაქრის წარმოების ვარდნას, რამაც გამოიწვია მოსახლეობის სწრაფი გაღარიბება. შექმნილ სიტუაციაში მთავრობამ დაამუშავა მოქალაქეობის გაყიდვის პროგრამა, რომლის თანახმადაც, ნებისმიერ უცხოელს შეეძლო პასპორტის ყიდვა 250 000 დოლარის ინვესტირების საფასად. სენ-კიტს და ნევისს გააჩნია უვიზო მიმოსვლა 132 ქვეყანასთან, შესაბამისად, პროგრამამ გამოიწვია დიდი ინტერესი. თანაც ქვეყანა ამავე დროს არის ოფშორი, რამაც შემატა მიმზიდველობა მის მოქალაქეობას.

2. კომორის კუნძულები, მოსახლეობა — 800 000 კაცი. მოქალაქეობის მიყიდვა ღარიბებისთვის

სხვადასხვა მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში ცხოვრობს დაახლოებით 10 მლნ. კაცი მოქალაქეობის გარეშე, მათ შორის არიან ბედუინები კუვეიტში და ემირატებში. საერთაშორისო ზეწოლის მიუხედავად, ამ ქვეყნების მთავრობებს არ სურთ მათი ლეგალიზება და ამიტომაც, მათ გადაუხადეს კომორის კუნძულების ხელისუფლებას 200 მლნ. დოლარი 4000 ბედუინური ოჯახისთვის მოქალაქეობის მინიჭების სანაცვლოდ.

3. ნიუე, მოსახლეობა 1190 კაცი, კოდები სატელეფონო სექს-ინდუსტრიისთვის

წლების მანძილზე კუნძულოვანი სახელმწიფოს ეკონომიკის საფუძველს შეადგენდა სოფლის მეურნეობა და თევზჭერა, თუმცა, ყველაფერი შეიცვალა 80-იან წლებში, როდესაც დაიწყო პრემიუმ-კლასის სატელეფონო ხაზების გატარება ნიუეს კოდით. აღმოჩნდა, რომ ამ ხაზებით სარგებლობდნენ სატელეფონო სექსისთვის, რაც აღმოჩნდა ძალიან მომგებიანი მაღალი ტარიფების გამო. 1997 წელს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გააბათილა შეთანხმება და ნიუე უკვე არ არის სატელეფონი სექსის ცენტრი.

4. ტუვალუ, მოსახლეობა 11 000 კაცი, მედიასაიტების განთავსება

წლების მანძილზე ტუვალუ, ისევე როგორც ნიუე, ჩართული იყო სატელეფონო სექს-ინდუსტრიაში, თუმცა, ეს იწვევდა მოსახლეობის უკმაყოფილებას. 1999 წელს ტუვალუმ მიიღო გაფართოება „TV“ ინტერნეტ-საიტებისთვის, რამაც გამოიწვია დიდი ინტერესი მსხვილი მედიაკორპორაციების მხრიდან. 2011 წლიდან ტუვალუ იღებს 1 მლნ. დოლარს წელიწადში ამ სერვისის სარგებლობისთვის გადასახადების სახით.

5. ნაურუ, მოსახლეობა 7000 ადამიანი, მიგრანტების დროებითი განთავსების ცენტრები

ფოსფატების მოპოვების წყალობით ერთ დროს ნაურუ იყო საკმაოდ მდიდარი ქვეყანა, თუმცა მარაგები ამოიწურა და მთავრობას მოუწია შემოსავლების სხვა წყაროებით მოძიება. ამჟამად ნაურუ ძირითადად არსებობს მიგრანტების განთავსების ცენტრის ხარჯზე — ამ ცენტრებში ცხოვრობენ უცხოელები, რომლებიც არ შეუშვეს მეზობელ ავსტრალიაში. ამ ცენტრს აფინანსებს ავსტრალიის მთავრობა, რომელიც უხდის ნაურუს დიდძალ ფულს.

6. ასენსიონი, მოსახლეობა 700 კაცი, საფოსტო მარკების გამოშვება

1920 წელს კუნძულმა მიიღო დამოუკიდებლობა და ამის აღსანიშნავად გამოუშვა საზეიმო საფოსტო მარკა, რომელმაც მოულოდნელად გამოიწვია ფილატელისტების დიდი ინტერესი. დღეს ეს არის ქვეყნის შემოსავლის ძირითადი წყარო — წლიურად ასენსიონი უშვებს 400-მდე დასახელების საფოსტო მარკას.

7. ტონგა, მოსახლეობა 107000 კაცი, მოქალაქეობის გაყიდვა

კუნძულოვანი სახელმწიფოს მთავრობამ დაიწყო მოქალაქეობის მიყიდვა ჰონკონგელებისთვის, რომლებიც შეწუხდნენ ჩინეთის შემადგენლობაში შესვლის გამო. ამან მოუტანა ქვეყანას დიდი ფული, რომელიც განთავსდა „Bank of America“-ში. ამის შემდეგ ტონგას მეფემ დაიწყო დიდი თანხების ინვესტირება სხვადასხვა ქვეყანაში. დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუმცა ერთ-ერთი წარუმატებელი კაპიტალდაბანდების გამო მთელი მოგება გაქრა, რამაც გამოიწვია ფინანსური და პოლიტიკური კრიზისი კუნძულზე.

8. სენტ-ლუსია, მოსახლეობა 178 000 კაცი, ვაჭრობა პოლიტიკური აღიარებით

ჩინეთსა და ტაივანს შორის არსებულმა დაძაბულობამ შექმნა ფულის შოვნის შესაძლებლობები რეგიონში პატარა ქვეყნებისთვის, რომლებიც აღიარებდნენ, ან პირიქით, არ სცნობდნენ ტაივანის დამოუკიდებლობას ქრთამის სანაცვლოდ. პოლიტიკური ვაჭრობით გარკვეული მოგება მიიღეს დომინიკამ, ნაურუმ, კირიბატიმ, ვანუატუმ, ტონგამ და გრენადამ. თუმცა, ყველაზე შორს წავიდა სენტ-ლუსია, რომელიც წლების მანძილზე მერყეობდა ჩინეთსა და ტაივანს შორის. 1984 წელს მან აღიარა ტაივანის დამოუკიდებლობა, 1997 წელს, ქრთამის სანაცვლოდ უკან წაიღო აღიარება, 2007 წელს კი საბოლოოდ დაიჭირა ტაივანის მხარე.

9. ერიტრეა, მოსახლეობა 5 მლნ. კაცი, ლტოლვილების და ემიგრანტებისგან ფულის გამოძალვა

ერიტრეა არ არის კლასიკური პატარა ქვეყანა, რადგანაც იქ ცხოვრობს 5 მლნ. კაცი, თუმცა, მთავრობამ აირჩია ფულის შოვნის უჩვეულო ხერხი, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს. ერიტრეა არის ძალიან ღარიბი ქვეყანა, სადაც დამყარებულია სასტიკი დიქტატურა. მთავრობა სწრაფად მიხვდა, რომ მიგრანტების ზრდადი რაოდენობა შეიძლება გახდეს ვალუტის მიღების წყარო — ამ მიზნით ხელისუფლებამ შემოიღო კანონი, რომელიც ავალდებულებს უცხოეთში მცხოვრებ მიგრანტებს შემოსავლის 2% გადახდას. როგორც წესი, ამ გადასახადის ადმინისტრირება ხდება ძალადობით, მუქარებით ქვეყანაში დარჩენილი ნათესავების მიმართ და პირდაპირი გამოძალვით.

10.ანტიგუა, მოსახლეობა 69 000 კაცი, იარაღის გადაყიდვა

1989 წელს ანტიგუამ შეისყიდა ისრაელისგან იარაღის დიდი პარტია. მოგვიანებით ამ იარაღის ნაწილი აღმოაჩინეს კოლუმბიაში, ერთ-ერთი ნარკოკარტელის სამალავში. გაირკვა, რომ წლების მანძილზე ანტიგუას მთავრობა შესყიდული იარაღის დიდ ნაწილს თავად ყიდდა, ხოლო მყიდველები ძირითადად იყვნენ კოლუმბიური ნარკოკარტელები. ამტყდარი სკანდალის გამო მთავრობა, პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, გადადგა.

სანთელი

ქ. ფოთში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, დამსახურებული პიროვნება

გერონტი კუხალეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საზოგადოების სახელით: სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ქვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, გულთაზ ლაბარტყავა, გია სვანიძე, ლია წურწუმია, იური ალანია, ბესლან ძორქია, ჯემალ კვირტია, თენგიზ უჩანეიშვილი.

სს უნივერსალური სამედიცინო ცენტრის (ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის) კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ონკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი, ექიმი-რეანიმატოლოგი

გურამ რუხაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს. ღმერთმა გაანათლოს ბატონი გურამ რუხაძის სული.

თაღლითები დანაშაულის ფაქტზე დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები თაღლითური განზრახვით დაუკავშირდნენ სოციალურად დაუცველ ერთ-ერთ მოქალაქეს და დაარწმუნეს იგი, რომ თბილისის მერიის მაღალჩინოსნის დახმარებით, 5 000 ლარის გადახდის შემთხვევაში, შეძლებდნენ საცხოვრებელი ბინის მისთვის საკუთრებაში გადაცემას. აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვით, ბრალდებულებმა მოქალაქეს წინასწარ მოსთხოვეს და გამოართვეს თანხის ნაწილი — 1 000 ლარი, რა დროსაც ისინი დააკავეს. ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

ბრალდებულს - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა

რუსთავის საქალაქო სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ნ.მ. დამნაშავედ ცნო. სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 10 დეკემბერს, მარნეულის რაიონის სოფელ კიროვკაში, განზრახი დანაშაულების ჩადენისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა ნ.მ.-მ, რომელიც განაწყენებული იყო მამიდის - ბ.მ.-ს დამოკიდებულებით, ურთიერთშელაპარაკებისას მას ხელი ჰკრა, რის შედეგადაც ბ.მ. წაიქცა, თავი მიარტყა ტახტს და გონება დაკარგა. ნ.მ.-მ კვალის დაფარვის მიზნით ბ.მ. სარდაფში ჩაიყვანა, რა დროსაც იგი გონს მოვიდა, ხოლო ნ.მ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით მას ხის ჯოხი თავის და სახის არეში რამოდენიმეჯერ ჩაარტყა, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად ბ.მ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ნ.მ. 2018 წლის 16 დეკემბერს მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოში დააკავეს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ნ.მ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სასამართლომ კირკიტაძე პატიმრობაში დატოვა

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დავით კირკიტაძე პატიმრობაში დატოვა. გადაწყვეტილება მოსამართლე ნუნუ ნემსიწვერიძემ გუშინ გამოაცხადა. მოსამართლის თქმით, განჩინება არ გასაჩივრდება და შუამდგომლობა არ იყო სათანადოდ წარდგენილი. ნემსიწვერიძის განმარტებითვე, თავდები უშუალოდ არ იყო წარმოდგენილი და მათ შესაბამისი განმარტება ვერ გააკეთეს.

შეგახსენებთ, გაერთიანებული ოპოზიციის წევრი დავით კირკიტაძე 17 დეკემბერს დააკავეს. კირკიტაძე დაკავებულია ველისციხეში გამართულ აქციაზე პოლიციელზე თავდასხმისთვის, ფიზიკური შეურაცხყოფისა და ქონების დაზიანებისთვის.

ულოცავენ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავენ დაბადების დღეს, 26 თებერვალს, ამავე საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელს, საქართველოს საინჟინრო ინტელიგენციის გამორჩეულ წარმომადგენელს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის 80-იანი წლების ესტრადის ბრწყინვალე ვარსკვლავს, ჩვენი დედაქალაქის ელიტური კორპუსის უსაყვარლეს კოლორიტს, ძმობისა და მეგობრული სიყვარულის უბადლო უსტაბაშს, დიდებულ მამულიშვილსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

ივიკო საყვარელიძეს

სმარტფონი, რომელიც იკეცება



2020 წლისთვის Apple-მა შესაძლოა სმარტფონი წარმოადგინოს, რომელსაც რბილი ეკრანი ექნება და მისი დაკეცვა რამდენჯერმე იქნება შესაძლებელი. კომპანიამ შესაბამისი ეკრანის დაპატენტებაზე განაცხადი უკვე შეიტანა. ეკრანი შესაძლოა, ორად ან სამად დაიკეცოს.

მსგავსი ეკრანი შესაძლოა ჰქონდეს iPhone-ს, iPad-სა და Mac-ს. შესაბამის ორგანოებში პატენტის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილება ამ დრომდე მიღებული არ არის.

მდინარეები პლასტიკური ნაგვისგან იწმინდება



კომპანია IKEA-მ ნავი შექმნა, რომელიც წყალს პლასტიკური ნაგვისგან ათავისუფლებს. ნავი დიზაინით სათამაშო ნავს წააგავს, რომელიც პულტით იმართება და მდინარეებიდან პლასტიკური ბოთლებისგან განთავისუფლება შეუძლია.

ნავმა უკვე მიიღო სახელწოდება Good Ship IKEA და ერთ რეისზე მას წყლიდან 19 კგ-მდე ნაგვის გამოტანა შეუძლია. დღეისათვის ორი ნავი უკვე მუშაობს ლონდონის ერთ-ერთ მდინარეზე, სადაც ნებისმიერ მსურველს აქვს საშუალება, ნავი მართოს და წყალი ნაგვისგან გაასუფთაოს.

ამო-მ ღრუბლებისგან გვირაბი შექმნა

ცნობილმა უფოლოგმა სკოტ უორინგმა საკუთარ საიტზე ვიდეოჩანაწერი განათავსა, რომელზეც ამოუცნობი მფრინავი ობიექტია (ამო) აღბეჭდილი. კადრები დიდ ბრიტანეთში, 2018 წლის ივნისის ბოლოსაა გადაღებული, თუმცა უფოლოგისათვის ის ხელმისაწვდომი 2019 წლის 23 თებერვალს გახდა.

ვიდეოში კარგად ჩანს ღრუბლების მიერ შექმნილი გვირაბი, ხოლო მისი გადიდებისას კადრებში უკვე ამო-ც ჩანს, რომელიც დიდი სისწრაფით გადაადგილდება. როგორც უფოლოგი აცხადებს, მსგავს გვირაბებს ამოუცნობი მფრინავი ობიექტები კამუფლიაჟისთვის ხშირად იყენებენ, რათა დედამიწის მცხოვრებთათვის შეუმჩნეველნი დარჩნენ.



რას ერჩით აქლემებს?

YOUTUBE-ზე გამოქვეყნდა ვიდეო, რომელშიც აქლემების მსხვერპლშეწირვაა ასახული, როგორც ვიდეოს აღწერაშია ნათქვამი ბაიკალელმა შამანებმა ეს რიტუალი რუსეთის გაძლიერებისთვის ჩაატარეს.

ბურიატეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი შამანები ამბობენ, რომ აქლემების მსხვერპლად შეწირვა მხოლოდ ყველაზე მაღალი რანგის შამანებს შეუძლიათ. ამ რიტუალისთვის 5 აქლემი მოკლეს, შემდეგ კი დაწვეს.

პედოფილია იგივეა, რაც ადამიანის მსხვერპლშეწირვა

რომის პაპმა ფრანცისკმა, კათოლიკურ ეკლესიაში არსებული პედოფილიის თაობაზე გამართულ დახურულ კონფერენციაზე გამოსვლისას მოძალადე მღვდლებს „სატანის იარაღი“ უწოდა და პედოფილია ადამიანის მსხვერპლშეწირვის რიტუალებს შეადარა.

„პედოფილიასთან დაკავშირებით, ვიხსენებ იმ სასტიკ, ფსევდორელიგიურ რიტუალებს, რომლებსაც საუკუნეების წინ ატარებდნენ წარმართები – ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სახით. ბავშვებზე სექსუალური ძალადობა საკმაოდ გავრცელებულია დღევანდელ მსოფლიოში, ყველა საზოგადოებასა და კულტურაში,“ – განაცხადა რომის პაპმა.

მასობრივი მოწამვლა სუროგატული ალკოჰოლით

ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში სუროგატული ალკოჰოლით მასობრივი მოწამვლის შედეგად საერთო ჯამში 135 ადამიანი გარდაიცვალა. დაღუპულთა შორის ბევრი ქალია, რომლებიც გოლახატისა და ჯორხატის რაიონებში ჩაის პლანტაციებში მუშაობდნენ. ჰოსპიტალიზებულია კიდევ 200 ადამიანი.

ფატალური შედეგი პირველად 22 თებერვალს მოხდა, ხოლო 24 თებერვალს კიდევ 35 ადამიანი დაიღუპა. ინდოეთის პოლიციამ უკვე დააკავა 10 ეჭვმიტანილი. აღმოჩენილია ასევე საწყობი, რომელშიც არალიცენზირებული და არალეგალური ალკოჰოლი მზადდებოდა. ინდოელი ექსპერტები ახლა აღმოჩენილი ალკოჰოლის შემადგენლობას სწავლობენ, რადგან ექიმებმა ჯერჯერობით ვერ გაარკვიეს, თუ რა ქიმიურმა ნივთიერებამ გამოიწვია ადამიანების სიკვდილი.

2019 წელს საჰაერო ხომალდები ხშირად დააგვიანებენ

2019 წელს საჰაერო ხომალდები ხშირად დააგვიანებენ ვიდრე 2018 წელს, – ასეთია კომპანია AirHelp-ის პროგნოზი. AirHelp-ის მონაცემებით, მოსალოდნელია, რომ 2019 წელს მსოფლიოში 12 მლნ რეისი განხორციელდება დაგვიანებით, რაც 2 მლრდ-ზე მეტ მგზავრზე იქონიებს გავლენას.

AirHelp-ის პროგნოზის მიხედვით, 2019 წელს ავიაკომპანიებს კომპენსაციის გაცემა 11 მლნ მგზავრზე მოუწევთ. 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი 10 მლნ მგზავრი იყო.

წარმატებულ ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო, მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6598; ევრო - 3.0162;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4617
100 რუბლი - 4.0543; თურქული ლირა - 0.4986;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5690;
1000 სომხური დრამი - 5.4471.

ამინდი 26 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+5
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge